# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№6 (9838) 2025 წლის 20 იანვარი, ორშაბათი.

ფასი 1 ლარი


თეიმურაზ ქორიძე

## ფრთხილად, ახალგაზრდებო! რუსი-რუსის ძახილით არქიფო სეთურის სოფლისკენ მიგვერეკებიან!..



**საქართველოში მიმდინარე ცოტა უცნაური მოვლენები შარშან ან, თუნდაც, ათი წლის წინათ არ დაწყებულა. ვგულისხმობ, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე გამრყვნელი ზემოქმედების კარგად დაგეგმილ კამპანიას. გავიხსენოთ, თუნდაც გასული საუკუნის 80-იანი წლები, ავად სახსენებელი 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები, როცა თბილისში, რუსთაველზე დატრიალებული სისხლიანი ტრაგედია დაბრალდა მითიურ „რუსს“ და არა მმართველობის საბჭოთა სოციალისტურ სისტემას.**

მერე აღმოჩნდა, რომ თურმე, ზვიად გამსახურდია და მისი მხარდამჭერები ხელისუფლებაში აღაზევა და მერე ხელისუფლებიდან მოიშორა იმავე „რუსმა“; სიგუამ, კიტოვანმა და იოსელიანმა საქართველოს მმართველად ედუარდ შევარდნაძე მიიწვიეს „რუსის“ მითითებით; აფხაზეთის ომი დაგეგმა „რუსმა“; ქართული სტრატეგიული ობიექტები რუსეთის ფედერაციას გადასცა სულით ხორცამდე „მედასავლეთე“ სააკაშვილმა; 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ დაიგეგმა და განხორციელდა ევროპელი და ამერიკელი მეგობრების დასტურით „რუსის“ წინააღმდეგ; 2008 წლის აგვისტოს ომის ინსპირატორი იყო „საქართველოს იტორიული მტერი რუსი“; სააკაშვილი აბსოლუტური დიქტატორის ტახტიდან მოშორდა არა ქართველი ხალხის სურვილითა და მონდომებით, არამედ „რუსის“ ნებით; „ქართული ოცნება“ და მისი შემქმნელ-სულისჩამდგმელი ბიძინა ივანიშვილი მთელ სახელისუფლებო გუნდთან და მხარდამჭერებთან ერთად არიან „რუსები“.

უკლებლივ ყველა, ვინც დღევანდელი რადიკალური ოპოზიციის მოსაზრებებს არ იზიარებს, არის პირწავარდნილი „რუსი“, უფრო გასაგებად – საქართველოს დაუძინებელი მტერი!

უკვე მრავალი წელია, საქართველოს მოქალაქეების, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ცნობიერებაში ჯიუტად ინერგება აზრი, რომ რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციისა და შემდეგ ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების დამგეგმავი და დამფინანსებელი დასავლეთის ქვეყნები, ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში რომ ზურგი გვაქციეს, არიან „მეგობრები“, ხოლო ის ქვეყანა, ვისი წყალობითაც დღეს საქართველო ირანის ან თურქეთის ვილაიეთად არ მოიხსენიება, ქართულ ენაზე ლაპარაკობს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსითაც სარგებლობს, არის მტერი.

**არ ვამტკიცებ, რომ „რუსი“ არის უმანკო ანგელოზი და მას საქართველოსთვის სიკეთის გარდა არაფერი უკეთებია. თუ გნებავთ, მრავალჯერ ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებ – რუსეთის იმპერია დასაბამიდან დღემდე არის კაცობრიობის ისტორიაში არსებული ერთი ყველაზე დაუნდობელი აგრესორი, ოკუპანტი და დღემდე შეუცნობელი სახელმწიფო. თუმცა, ისიც გავითვალისწინოთ, რომ ყველაფრის „რუსზე“ გადაბრალება, თუ მეტი არაფერი, დიდი გულუბრყვილობა და დოყლაპიობაა!**

იხ. მე-2 გვ.

ეს იყო, ეს არის!..


…ები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

…მუნისტი

…ს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და …ველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

…И — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 14 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები პროფესორ-ექიმების ნიღბით



ლიდია ტიმაშუკი

6–8

## სანამ არის ჩვენში დოყლაპიობა, მავნებლობაც იქნება!

## საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დაარსებიდან 103 წელი შეუსრულდა

სტუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1922 წლიდან



5

ალეკო ასლანიშვილი

## როცა კერძში გიფურთხებენ და სულში გაფურთხებენ!..

მინდა, მოგესალმოთ ახალ ოფისში, რომელიც შესაძლოა, არ ჰგავს ორბელიანის სასახლეს, მაგრამ აქ სუფევს დემოკრატიის სული და აქ გრძელდება ქვეყნის პრეზიდენტის ფუნქციები



4

## მერაბ დვალიშვილმა ნათლისღება გამარჯვებით მოგვილოცა!

10

მადლობა ყველა ქართველს. ყველა მიყვარხართ, მიყვარხართ, ქართველებო! ახლა შემიძლია, კარიერა დავასრულო და თუნდაც მოვკვდე...



## პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა 613 მსჯავრდებული შეიწყალა



საქართველოს პრეზიდენტმა ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით 613 მსჯავრდებული პირი შეიწყალა.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების გამოყენება ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს და სახელმწიფო ინტერესს.

გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით, შეწყალებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ, დაუბრუნდნენ ოჯახებს და კვლავ იქცნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

# ფრთხილად, ახალგაზრდებო, რუსი-რუსის ძახილით არქიფო სეთურის სოფლისკენ მიგერეკებიან!..

**პირველი გვერდიდან**

## ძვირფასო მკითხველო!

**ორიოდე სიტყვით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ პროფესორ ლევან ბერძენიშვილის თეორიას თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, პატარა კახის (მეფე ერეკლეს)... პიროვნებისა და მოღვაწეობის თაობაზე. გულწრფელად რომ ვთქვა, ამ თემაზე საუბარი ძალიან მიჭირს, მაგრამ იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ გავიმეორო.**

ახალგაზრდებს შორის ამ საკმარისზე მეტად პოპულარული ბატონი პროფესორის აზრით, საქართველოს წინაშე უდიდესი დამსახურების მქონე და მადლიერი შთამომავლობის მიერ წმინდანად შერაცხილი მეფე დავით აღმაშენებელი და მისი შთამომავლობა იყვნენ ერთი გახრწნილი, უსინდისო და სამარცხვინო ტირანები, ვისაც თანამემამულეთა ხოცვა-ჟლეტის გარდა ბევრი არაფერი უკეთებიათ; მათ შორის მეფე თამარიც, ვისი მეფობის ეპოქაც „ოქროს ხანად“, თვით თამარ მეფის სახელს კი მისი გარდაცვალებიდან რვაასზე მეტი წლის შემდეგაც პატივით და სიამაყით მოვიხსენიებთ; ყველა ომის მომგები, უბადლო მეომარი და უამრავჯერ დაჭრილ-დასახიჩრებული მეფე ერეკლე – სამშობლოს გამყიდველი მოღალატე, ვინც „გეორგიევსკის ტრაქტატით“ საქართველო რუსეთს უსაჩუქრა...

ღმერთმა დამიფაროს, წამითაც გულში არ გამივლია, რომ ისტორიის პროფესორმა საქართველოს ისტორია არ იცის ან უნებურად რაღაც ეშლება. ყველაფერი შესანიშნავად იცის და არც რამე ეშლება – ახალგაზრდობისთვის ავტორიტეტული პროფესორი ახალგაზრდობის ცნობიერებაზე ზემოქმედების მიზნით ჯიუტად და ხშირად იმეორებს იმას, რასაც კარნახობენ დასავლელი „მეგობრები“: არც წარსულ და არც დღევანდელ საქართველოში არ არსებობდნენ და არ არსებობენ ავტორიტეტები, ვის ნაკეთებ საქმეს ან ნათქვამ სიტყვას თანამედროვე საქართველოს მოქალაქისთვის რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა; თქვენ, ახალგაზრდობა ხართ ქართველი ხალხის ყოვლისშემძლე, აღმატებული ნაწილი; თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ, ყველაფრის უფლება გაქვთ და ყველაფერი გეპატიებათ, რადგან თქვენ გაქვთ უზარმაზარი უპირატესობა უფროსი თაობების წინაშე – ახალგაზრდობა!

ზუსტად იგივე მეორდება ქართული ეკლესიის მიმართაც. იმავე ბერძენიშვილის და მის ფეხის ხმას აყოლილი უვიცი მხარდამჭერების მტკიცებით, ქართული კულტურის, ქართული იდენტობის გადამრჩენელი, ქართველობის დღემდე მომყვანი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არის არარაობა, არაფრის მთქმელი და არაფრის მაქნისი ქურდბაცაცა უსაქმურების ბანდა. ამიტომ ახალგაზრდობის ვალია, ამ ბანდის თავიდან მოშორება, საეკლესიო სიწმინდეების განადგურება, ხატების გატრიზავება და, საერთოდ, ეკლესიურობის მიწასთან გასწორება!



მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სააკაშვილის პრეზიდენტობისას განხორციელებული შემაძრწუნებელი „განათლების რეფორმა“: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების განადგურება, საჯარო სკოლების „ოპტიმიზაცია“, სასწავლო დაწესებულებებში ქურდული „მაყურებლების“ (მანდატურების) ინსტიტუტის დანერგვა, უმაღლეს სასწავლებლებზე სრული პოლიტიკური კონტროლის დაწესება, მაშინდელი სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტზე უცხო ენებისა და ფიზკულტურის ინსტიტუტების მიერთება; თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორი სასწავლო კორპუსის დედისთვის (გიული ალასანიასთვის) მიჩუქება, მაპატიეთ – მიყიდვა ორ ლარად; ქართული ინტელიგენციის „ჩარეცხილად“ გამოცხადება და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან გაყრა.

გავიხსენოთ გირჩი ჯაფარიძის (სატელევიზიო ეკრანებიდან ორ დღეში ერთხელ მაინც სამშობლოს გადარჩენის გზებს რომ გვისახავს!) პატრიოტული აღტყინება – რუსი მესაზღვრეებისთვის შიშველი უკანალების მიშვერა; ახალგაზრდების სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლებისა და ნარკოტიკების მოყვანა-მოხმარება-გასაღებაზე შეზღუდვების მოხსნის მოთხოვნა; უცხოეთიდან დაგეგმილ-დაფინანსებული ახალგაზრდების „სამხედრო სწავლებები“ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით!

გავიხსენოთ დღევანდელი რადიკალური ოპოზიციის უპირობო ლიდერის, უაღრესად განათლებული, უცხო ენების შესანიშნავად მცოდნე, იმავე უცხოელი „მეგობრებისგან“ მრავალჯერ უხვად დაჯილდოებულ-დაფინანსებული, საქართველოს უახლეს ისტორიაში ენით უთქმელი ბოროტებების ჩამდენი ნიკა გვარამიას მიმართვა მშობელი ხალხისადმი – ჩაგიფსით ღვინოში!

ლიდერ-ნიკამაც, მისმა უცხოელმა დამჯილდოებელ-დამფინანსებელმა „მეგობრებმაც“ შესანიშნავად იციან, რომ საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის ღვინო არ არის თრობის, უგუნურების და უგონობის გამოხატულება. ღვინო არის საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის, დამოუკიდებლობის, სიწმინდისა და სისუფთავის, ქართული იდენტობის სიმბოლო. თუ ქართველი ამას დაივიწყებს, ანუ ნიკას ჩაფსმული ღვინის სმას დაიწყებს, ქართველობის ისტორია დამთავრებულია – იგი დასავლელი „მეგობრის“ ხელებში და თვალებში შემყურე არარაობად გადაიქცევა.

უცხო „მეგობრების“ დაფინანსებითა და პოლიტიკური მხარდაჭერით გაამაყებულ- გათავხედებული რადიკალური ოპოზიციის ნამდვილი სახეა აწ უკვე კარიკატურად ქცეული ყოფილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. თავად განსაჯეთ, საპრეზიდენტო ვადის გასვლისა და ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ თავს ისევ ლეგიტიმურ, მოქმედ პრეზიდენტად მოიხსენიებს საფრანგეთში, ევროპის კულტურულ ცენტრში დაბადებული და აღზრდილი, საფრანგეთის დიპლომატიურ სამსახურებში გაწვრთნილ-გამობრძმედილი ქალბატონი. თანაც, იმ დროს, როცა გვერდით (ვივამედის კლინიკაში) მეორე „მარადიული“ ჰყავს!

**უცხოური დავალებით ახალგაზრდობის ტვინის გამორეცხვის მცდელობის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია საქართველოს მარადიულად გალეგიტიმურებული პრეზიდენტისა და მისი მომხრეების ტრაბახი აშშ-ის პრეზიდენტის საინაუგურაციო ცერემონიალზე მიწვევის შესახებ. საქმე ის არის, რომ ვიწრო წრის გარდა, ამერიკის პრეზიდენტად კურთხევის ცერემონიალზე – ინაუგურაციაზე დასწრება კი არა, ღია სივრციდან მისთვის თვალყურის დევნება შეუძლია ყველა მსურველს, დაახლოებით 250 000 ადამიანს, ვინც ბილეთს შეიძენს. თუ არ ვცდები, ბილეთის ღირებულება 50 ათასიდან მილიონ დოლარამდე მერყეობს. თუ ბილეთისთვის ფული დაგენანება და სააკაშვილივით ცერემონიალის ღობის გადაღმიდან ყურებას დასჯერდები, უფასოდაც შეიძლება. თანაც, 25-კილომეტრიანი ღობის გადაღმა ადგილების არჩევანი დიდია.**

მოდი, კიდევ რამდენიმე გამამაცებული კი არა, უცხოეთის მხარდაჭერით გაალმასებული ქართველი „პოლიტიკოსის“ ბოლოდროინდელი საჯარო განცხადებებიც გავიხსენოთ.

**ნათია მეზვრიშვილი:** „ყველას მოგაკითხავთ. წარმოდგენა არ გაქვთ რამხელა შეცდომა დაუშვით. დანდობა არ იქნება, გპირდებით! საქართველოს პროკურატურა, თუ 24 საათში არ იქნება ყველა თავდამსხმელი დაკავებული, თქვენც მოგაკითხავთ! ივანიშვილო, საბრალდებო სკამზე დაგსვამ, პირადად!“

**ნიკა მელია:** „ომბუდსმენის შენობაში ასეთი მავნებელი არავინ მჯდარა. ასეთი სამარცხვინო სახალხო დამცველი ქართველ ხალხს არ ჰყოლია“.

**ნანა გეგეჭკორი:** „მიმტანად მომუშავე ადამიანების უმრავლესობისთვის სამსახურის დაკარგვა მართლა უმძიმესი ტვირთია, მაგრამ ის ხომ მაინც შეგიძლიათ, რომ ჩუმად ყველა კერძში ჩააფურთხოთ. ყველა, ვისზეც ეს რეჟიმი დგას, ყველგან ჩაფურთხებული კერძებით უნდა იკვებოს. ყავა, ჩაი, რასაც გაეკარებიან, ყველაფერში ჩაუფურთხეთ. ამის მოხერხება ნამდვილად შეიძლება ისე, რომ არაფერი დაგემუქროთ“.

**ამ ახალგაზრდა კაცის ვინაობას ვერ დავასახელებ, ვინმემ ჭიტლაყი რომ არ ამოჰკრას. უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ ფიზიკურად და მორალურად უგარყვნილესი მიხაელ როთი, ყოფილი გერმანელი პოლიტიკოსი და ქართული რადიკალური ოპოზიციის ერთი უმთავრესი ევროპელი დამრიგებელია:**

**„მე შევხვდი როტს, მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, რომ ქართველი ხალხი ვაღმერთებთ მას.“**

სამწუხაროდ, კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება – რუსეთთან სამარცხვინო დამარცხების აღსანიშნავი გრანდიოზული გამარჯვების ზეიმიდან დაწყებული, სააკაშვილის ელემენტარული უვიცობის სააკაშვილის პირითვე დემონსტრირებით დამთავრებული. თანაც, მრავალჯერ და დაბეჯითებით.

სწორედ ამის შედეგია, რომ დღეს ყალბი პატრიოტების ყალბი მოწოდებით საქართველოს ევროპული მომავლის დასაცავად და „უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“ „რუსული კანონის“ გასაპროტესტებლად, „არალეგიტიმური ხელისუფლების“ გადადგომისა და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით ქუჩაში გამოდის ათასობით ახალგაზრდა. ისე გამოდის, რომ არ იცის და არც აინტერესებს, რას ნიშნავს ქვეყნის ევროპული მომავალი, რა წერია „გამჭვირვალობის“ კანონში, რატომ არის ამერიკულის ანალოგიური კანონი „რუსული“, რატომ არის ხელისუფლება „არალეგიტიმური“ და რატომ უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები...

სამაგიეროდ, დარწმუნებულია, რომ არ უნდა დაისაჯოს პოლიციელის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის, პარლამენტის შენობაში შეჭრის მცდელობისთვის, სახელმწიფო და კერძო ქონებების განადგურებისთვის, ენით უთქმელი ბილწსიტყვაობისთვის...

**ერთი ფრიად მრავლისმეტყველი ეპიზოდი საქართველოზე ზრუნვით გათანგული თანამედროვე ევროპის ისტორიიდან და ამით დავამთავრებ.**

დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნა კვლევა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „რუსული კანონის“ შესახებ. ამავე დროს, 13 იანვარს დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში ლიბერალ-დემოკრატმა ჯეიმს მაკკლიარიმ წარადგინა 13 დეპუტატის ხელმოწერილი წინადადება ივანიშვილის სანქცირების შესახებ. „წინადადებაში“ ნათქვამია, რომ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო გამოხატავს ღრმა შეშფოთებას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებისა და მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გადამეტებული გამოყენების გამო; გმობს ბიძინა ივანიშვილის როლს დემოკრატიის შელახვისა და საქართველოში რუსეთის გავლენის ხელშეწყობაში; მოუწოდებს გაერთიანებული სამეფოს მთავრობას, აშშ-ის მსგავსად, სანქციები დაუწესოს ბიძინა ივანიშვილს, გადახედოს სტრატეგიულ პარტნიორობას საქართველოსთან და იყოს უფრო მჭიდრო კოორდინაციაში ევროკავშირელ პარტნიორებთან, რათა გადადგას ნაბიჯები რუსეთის ჩარევის წინააღმდეგ...

საგულისხმოა, რომ კვლევაში არ არის მოშველიებული საქართველოს ხელისუფლების გადაცდომებისა და დანაშაულების დამამტკიცებელი არცერთი მტკიცებულება, არცერთი!

დიდი ბრიტანეთის უკიდეგანო იმპერიისა და მისი ყველა ბიბლიოთეკისადმი ჩემი ღრმა პატივისცემის ნიშნად – ეს არ ნიშნავს, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებას ქართველი ხალხი იდიოტების ბრბოდ, ვიღაც ქუჩაში სხვის საამებლად მორბენალ კოლექტიურ ნანა-ნათიად მიაჩნია. პირიქით, აღიზიანებს, რომ ქართველ ხალხს, თურმე, ყოვლისშემძლე ბრიტანეთისგან დამოუკიდებლად ხელისუფლების არჩევა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შეუძლია.

ანუ იმპერია მშვენივრად ხედავს, რომ შორეულ, უცნობ საქართველოში ცხოვრობს მოაზროვნე საზოგადოება, რომლის ასე იოლად გაცუცურაკება შეუძლებელია. რომ ქართველი ის ხალხია, ვისაც იქნებ ბრიტანელების მისი ქვეყნისადმი სამარცხვინო „გვერდში დგომა“ 107 წლის შემდეგაც კი არ დავიწყებია!

რა თქმა უნდა, „მეგობარი“ დიდი ბრიტანეთი და პირადად სერ ჯეიმს მაკკლიარი ოდესმე პატივს დაგვდებენ და აგვიხსნიან, რატომ თქვა დიდმა ბრიტანეთმა უარი ევროკავშირის წევრობაზე.

**ჩვენც იქნებ როგორმე ავუხსნათ ჩვენს ახალგაზრდობას, რომ კოლექტიური მიხაელ როთი არ არის სანიმუშო ადამიანი და მას საქართველოში არავინ აღმერთებს მისნაირი გათახსირებულებისა და ფულზე დახარბებული ფარისევლების გარდა. იქნებ ისიც ვაჩვენოთ, „მეგობარ“ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორ თელავენ სამართალდამცველები მშვიდობიან მომიტინგეებს ცხენებითა და ადამიანზე მონადირე გაავებული ძაღლებით. არცთუ იშვიათად, ტყვიითაც უმასპინძლდებიან!..**



**თეიმურაზ ძორიძე**

19. 01. 2024

## რა მოგვცა აქციებმა, გაფიცვებმა, სანქციებმა...

**ბოლო დროს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, ოპოზიციის დაუმთავრებელმა მასობრივმა აქციებმა ხელისუფლების ოპონენტებისთვის სასურველი შედეგი ვერ დადო და... ვერც დადებდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს პროცესები პროვოცირებული იყო ტოტალური სიცრუისა და ტყუილის შედეგად, რომელიც ხალხის გარკვეულმა ნაწილმა მართლა გულწრფელად დაიჯერა. სინამდვილეში, როგორც ცხადი გახდა, ქვეყანაში არც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არ გაყალბებულა და არც ქვეყნის დასავლეთის სტრატეგიული საგარეო კურსი არ შეცვლილა, რასაც ასე დაჟინებით ქადაგებდა და ქადაგებს რადიკალური ოპოზიცია.**

**რაც შეეხება კარგად ცნობილ დასავლეთის სანქციებს, ეს „პოლიტიკური აქტი“, მხოლოდ სინანულს იწვევს მისი ყოვლად დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო, არაობიექტური გადაწყვეტილების გამო და სერიოზულ ჩრდილს აყენებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.**

**აქვე უნდა ითქვას, რომ ამ პერმანენტულმა აქციებმა ყველას დაანახა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, რომ საქართველო მაღალი დემოკრატიის ქვეყანაა და დემოკრატიულად არჩეული მთავრობა ჰყავს, ხოლო ამ პატარა ქვეყანას დიდი ქვეყნების პოლიტიკურ ველზე შეიძლება გააჩნდეს განცდა, იყოს სუვერენული და ჰქონდეს თავისი საკუთარი, ღირსეული ეროვნული ინტერესები, რაც სახელმწიფოს ყოველმხრივი პროგრესის საფუძველია.**



**ბონდო ძოწულია,**
პროფესორი,
მედიცინის
მეცნიერებათა
დოქტორი.

დღეს – ხვალისთვის

საქართველოს რესპუბლიკა



## თამარ ჩიბურდანიძე:

# ხელისუფლება ამზადებს მყარ ნიადაგს, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია რეალური პერსპექტივით მოიზიდოს!

*„საქართველოს პრემიერ-მინისტრის აზერბაიჯანში ვიზიტი ბევრად მნიშვნელოვანია საქართველო-ამერიკის ურთიერთობისთვის, ვიდრე ოპოზიციის კეკლუცობა და ყოფილი პრეზიდენტის გაგზავნა ტრამპის ინაუგურაციაზე დასასწრებად“! - ამის შესახებ „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ჩიბურდანიძე საუბრობს. მისი თქმით, ოპოზიცია აგრძელებს სააკაშვილის ფასადურ პოლიტიკას, რათა შექმნას საზოგადოებრივი აზრი, ქუჩაში გამოყვანილი ადამიანების შესანარჩუნებლად. საქართველოს ხელისუფლება კი ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია რეალური პერსპექტივით მოიზიდოს.*

***– ქალბატონო თამარ, რა დატვირთვა აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის ვიზიტს აზერბაიჯანში, სადაც ის სამმხრივი თანამშრომლობის ინიციატივით გამოვიდა და რა პერსპექტივას უსახავს ეს თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიას?***

– სამხრეთ კავკასია არის საქართველოს ისტორიული ოჯახი და ჩვენი პოლიტიკა და ეკონომიკაც, უპირველესად, რეგიონში უნდა გავაძლიეროთ. სტაბილურობა, მჭიდრო პარტნიორული თანამშრომლობა და შუა დერეფნის პროექტი, – ეს უნდა იყოს ნომერ პირველი მიმართულება სწორედ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის. მახსენდება 1990-იანი წლები, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობა დაიწყო. მაშინ ქართველი მეცნიერები, ექსპერტები და საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი სწორად მიუთითებდა ხელისუფლებას, რომ აუცილებელი იყო რეგიონალური პოლიტიკის გაძლიერება საქართველოში, რათა ჩვენი ღირებულებებით ვყოფილიყავით მიმზიდველი სხვა ქვეყნებისთვის. როდესაც არა გაქვს ძლიერი პოლიტიკა ქვეყანაში და ფასი არ გადევს რეგიონში, ბუნებრივია, უცხო ქვეყნებისთვის ხარ საჭილდაო მოედანი, სავაჭრო თემა და ვინც უკეთ ივაჭრებს, – მას ეკუთვნი! რუსეთისა და ამერიკის ურთიერთსაპირისპირო ინტერესებმა, მრავალი წლის განმავლობაში, რეგიონის განვითარების შესაძლებლობა არ მოგვცა. რუსეთს თავისთვის უნდოდა საქართველო, რითაც მისი სამხრეთის საზღვარი იქნებოდა დაცული. ამერიკას და, ზოგადად, დასავლეთს კი, სურდა ჩვენი ქვეყანა, როგორც ბუფერული ზონა, საიდანაც ის მისწვდებოდა შორეულ აღმოსავლეთს და სამხრეთის სახელმწიფოს. მათ უნდოდათ, საქართველო ყოფილიყო ეპიცენტრი, ოღონდ არა პოლიტიკური, არამედ უფრო სამხედრო მიზნებისთვის. ამისთვის გვპირდებოდნენ ევროკავშირის წევრობას, ამისთვის გვპირდებოდნენ ნატოს, თუმცა ნატო თავიდანვე ილუზია იყო და ამას გვეუბნებოდა მისი ყველა გადამდგარი ხელმძღვანელი, რომ საქართველოს ნატოში არავინ არასდროს მიიღებს, ეს არის ბლეფი! აქამდე ჩვენ არ მოგვეცა საშუალება რეგიონის გასაძლიერებლად. რეგიონში გვქონდა ყარაბაღის ომი, გვქონდა არაერთი ომი თუ კონფლიქტი და ეს პერიოდი უნდა გაგვევლო.

***– თუმცა, ჩინეთთან პარტნიორული ურთიერთობა, რის გამოც დღემდე ამუნათებს ოპოზიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, ერთგვარი შესაძლებლობა მგონია იმისათვის, რომ ქვეყანამ უფრო თავდაჯერებით აირჩიოს უკვე სხვა მეგობარი ქვეყნები...***

– ჭკვიანი პოლიტიკოსი ხარ მაშინ, როდესაც წინასწარ განსაზღვრავ მომავალს და ხედავ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენო შენი ქვეყნის სასიკეთოდ მსოფლიოში განვითარებული მოვლენები! ბიძინა ივანიშვილმა სწორად განჭვრიტა მომავალი და ქვეყანა მშვიდობიანი გზით გაიყვანა იმ საუკეთესო პოზიციაზე, რასაც ჰქვია საქართველოს სტაბილური, მშვიდობიანი განვითარება.

დიახ, როგორც აღვნიშნე, საქართველო დღემდე მხოლოდ ორ ვექტორზე იყო დამოკიდებული – რუსეთზე ან დასავლეთზე. ჩვენ ვარჩიეთ დასავლეთი, რადგან რუსეთი ოკუპანტი სახელმწიფოა, თუმცა ვცდილობთ, მასთანაც დავალაგოთ ურთიერთობა, – ოკუპანტი ვაქციოთ მეზობელ სახელმწიფოდ და დავასრულოთ ოკუპაცია საქართველოში, ანუ დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები! აქამდე უნდა მივსულიყავით და სწორედ ამ პროცესების შემდეგ გაუჩნდა პერსპექტივა საქართველოს, ახალი გიგანტი სახელმწიფოს, ჩინეთის სახით. ჩინეთთან, ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან პარტნიორობის დამყარებით, საქართველომ უნდა დააბალანსოს საგარეო პოლიტიკა რეგიონში. ჩვენ უნდა გავხდეთ გეოპოლიტიკური ჰაბი, ჩვენ ვართ გეოპოლიტიკური კარიბჭე და ამ კარიბჭეში შესვლა სჭირდება თითქმის ყველა სახელმწიფოს, ყველა მიმართულებით. ჩვენს ქვეყანას გაუჩნდა არჩევანი და, აქედან გამომდინარე, გაჩნდა მესამე ძალა, რომლის საშუალებითაც საქართველომ პოლიტიკა გადაათამაშა. ძლიერ ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო სექტორი მესამე ძალის როლს ასრულებს, რათა მან მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ოღონდ ეს უნდა იყოს ეროვნული ინტერესების მქონე, გამჭვირვალე... ტარი სამოქალაქო საზოგადოება და არა უცხოეთიდან დაფინანსებული მდიდარი ნჯო-ები, რომლებიც მხოლოდ თავიანთი დამფინანსებლის ინტერესებით მოქმედებენ.



**ჩინეთთან საპარტნიორო ხელშეკრულების გაფორმებით, საქართველოს მიეცა შანსი, გარკვეულწილად, დაგვებალანსებინა დასავლეთის პოლიტიკა საქართველოში. ამის გამო ოპოზიციამ პრორუსები გვიწოდა, თუმცა, მსოფლიოში უკვე გამოიკვეთა ორი პოლიტიკური პოლუსი ამერიკა-ჩინეთის სახით და რუსეთი ამ პოლიტიკურ პოლუსზე აღარ ჩანს.**

ჩინეთთან საპარტნიორო ხელშეკრულების გაფორმებით, საქართველოს მიეცა შანსი, გარკვეულწილად, დაგვებალანსებინა დასავლეთის პოლიტიკა საქართველოში. ამის გამო ოპოზიციამ პრორუსები გვიწოდა, თუმცა, მსოფლიოში უკვე გამოიკვეთა ორი პოლიტიკური პოლუსი ამერიკა-ჩინეთის სახით და რუსეთი ამ პოლიტიკურ პოლუსზე აღარ ჩანს. რუსეთი ამ ეტაპზე ჩინეთის ჩრდილშია, თუმცა, რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ მსხვილ მოთამაშედ. ბრიტანეთი კი, ახალ სქემას ქმნის მის ირგვლივ და ეს იქნება ალბათ, კიდევ ერთი ახალი სიტყვა მსოფლიო პოლიტიკაში.

რაც შეეხება ევროპას, ის იძულებული გახდება, მიიღოს ახალი რეალობა. რაც მთავარია, ევროკავშირის პოლიტიკური დასუსტების ფონზე, ძლიერდება ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, როგორც ახალ გეოპოლიტიკურ ეპიცენტრში. ეს კი უზრუნველყოფს რეგიონის და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ისევე, როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას.

აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი იყო პრემიერის ვიზიტი აზერბაიჯანში, რადგან რეგიონის გაძლიერებით, ჩვენ შეგვიძლია დავაინტერესოთ სწორედ ამერიკა. ამიტომ საქართველოს ხელისუფლების აზერბაიჯანში ვიზიტი ბევრად მნიშვნელოვანი იყო ახლა საქართველო-ამერიკის მომავალი ურთიერთობისთვის, ვიდრე ოპოზიციის კეკლუცობა, მილიონიანი ბილეთების აღება და ყოფილი ფუფალა პრეზიდენტის გაგზავნა ამერიკაში ტრამპის ინაუგურაციაზე დასასწრებად!

ოპოზიცია აგრძელებს სააკაშვილის ფასადურ პოლიტიკას, რათა შექმნას საზოგადოებრივი აზრი, ქუჩაში გამოყვანილი ადამიანების შესანარჩუნებლად. საქართველოს ხელისუფლება კი ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია რეალური პერსპექტივით მოიზიდოს, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე.

***– დონალდ ტრამპსა და ჩინეთის ლიდერს სი ძინპინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, სადაც მათ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს. ამის შემდეგ კი ტრამპმა თავის ინაუგურაციაზე პირადად გაუგზავნა მიწვევა ჩინეთის პრეზიდენტს. სავარაუდოდ, ამ ფაქტით ჩვენი ოპოზიცია იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ტრამპი საქართველოს ჩინეთთან პარტნიორობას, „არ მოუწონებდა“. საინტერესოა, როგორ აისახება ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობა საქართველოზე, როგორც ჩინეთის პარტნიორ სახელმწიფოზე?***



**უმნიშვნელოვანესი იყო პრემიერის ვიზიტი აზერბაიჯანში, რადგან რეგიონის გაძლიერებით ჩვენ შეგვიძლია დავაინტერესოთ სწორედ ამერიკა. ამიტომ საქართველოს ხელისუფლების აზერბაიჯანში ვიზიტი ბევრად მნიშვნელოვანი იყო ახლა საქართველო-ამერიკის მომავალი ურთიერთობისთვის, ვიდრე ოპოზიციის კეკლუცობა, მილიონიანი ბილეთების აღება და ყოფილი ფუფალა პრეზიდენტის გაგზავნა ამერიკაში ტრამპის ინაუგურაციაზე დასასწრებად!**

გაგრძელება მე-9 გვ.

# როცა კერძში გიფურთხებენ და სულში გაფურთხებენ!..

**ჩვენი ფაჩიკოს გარმონივით უმიზნოდ და უაზროდ გაჭიმული „რევოლუცია", როგორც იქნა, მწვერვალს მიადგა, საიდანაც უნდა დაიწყოს მისი ბოლო ეტაპი – დაღმავალი. ორიენტაციას დაღმავლობასა და აღმავლობაზე ნუ ავიღებთ, რადგან ეს ბოლო ეტაპი ისეთი ხმაურიანი, ისეთი მოულოდნელობებით სავსეა, რომ გარედან მაყურებელს სულაც გამარჯვების ღრიანცელად შეიძლება მოეჩვენოს.**

**ის კი ნაღდია, რომ სხვა თუ არაფერი, ორგზის დასანქცირებულმა ბიძინა ივანიშვილმა (მეორედ ბევრად უფრო მძიმედ), საშინლად გაახარა თანამემამულე რევოლუციონერმეაქციე გოგო-ბიჭები, ისე საშინლად, რომ ეს მოვლენა განსაკუთრებით უმნიშვნელოვანეს წარმატებად მიითვალეს. ჰოდა, ბიძინას მოუწევს, დაჯდეს ახლა და იმაზე იჭყლიტოს ტვინი, ათასგვარად ჩახლართული აქციების დროს რომელიმე ეგზალტირებულმა ჯეელმა ყურზე ფეხი არ დაიდგას და თანამოაზრეებმა მაშინვე მსოფლიოს არ მოჰფინონ, არიქა, საქართველოს არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ შურისძიების მიზნით მშვიდობიანი ოპონენტების წამებისა და დასახიჩრების ახალი ეტაპი დაიწყოო.**

„ახალი ეტაპები" კი იმდენი გვაქვს, ვერც დათვლი და ვერც თავსა და ბოლოს გაუგებ! მაგრამ ამ სიმრავლეში მაინც გამოირჩევა ერთი, სულ ბოლო ღრიანცელი, რომელმაც ახალი ძალა, ახალი „მორალური სიმტკიცე" შემატა ჩვენს უბადრუკ რევოლუციას. ეს არის ე. წ. „ბაბილოს მიხტომა", რომელმაც თავისი შინაარსითა და ჩანაფიქრის სიმყრალით მართლაც გააოცა შინაურიც და გარეულიც.

„ბაბილო", მოგეხსენებათ, პრესტიჟული რესტორანია დიღომში, ბელიაშვილის ქუჩაზე. იქ იმ დღეს კორპორატიული შეკრება ჰქონდათ მოსამართლეებს, ალბათ, ასე 60 კაცის შემადგენლობით. ეს საშინლად აღმაშფოთებელი, უხამსი (?!) ამბავი შეიტყო ფხიზელმა ოპოზიციამ და საჭირო ზომებიც მიიღო: „ბაბილოს" ალყა შემოარტყა. მოალყეებში გამოირჩეოდნენ დაპატიმრებულ აქტივისტთა მშობლები, რაც ხაზს უსვამს, თუ რამდენად საფუძვლიანად იყვნენ მომზადებული „ბაბილოს" შტურმის ორგანიზატორები. მთელ დიღომს ეფინებოდა დედების ხმა, ჩვენი შვილები ციხეში სხედან, თქვენ კი ქეიფობთ, მონებოო! განსაკუთრებით შემზარავი იყო ერთ-ერთი დედის წყევლა კონკრეტული მოსამართლის მიმართ, შვილი არ დაგხვდეს სახლში ცოცხალიო!

სიტყვიერ მარგალიტებს ერთვოდა სასტვენების დაუსრულებელი გნიასი და დასარტყმელი ინსტრუმენტების კაკაფონია.

მაგრამ მთავარი ეს მაინც არ არის. არც ის, რომ შენობაში შემსვლელ მოსამართლეებს საშინელ დღეში ატარებდნენ, ბილწად ლანძღავდნენ, უწოდებდნენ მონებს, მოღალატეებს, დამნაშავეებს, უშენდნენ კვერცხებს...

**ესეც ჯანდაბას! მთავარი ის გახლავთ, რომ რესტორანში სუფრასთან მსხდომ მოსამართლეებს მიაყენეს უსაზიზღრესი შეურაცხყოფა შურისძიების მიზნით!.. კერძებში ჩაუფურთხეს...**

**პოლიტიკური ბრძოლის ამ ახალი მეთოდის პრეზენტაცია წარმატებული აღმოჩნდა. ეს დაადასტურა ტელევიზიით ნანახმა თავზარდამცემმა კადრებმა.**

ოთხიდან ერთ-ერთი ზღვარგადასული პარტიის თავმჯდომარემ ნიკა მელიამ ღრმააზროვნად განაცხადა, მოსამართლეებმა გზის პირას, გამჭვირვალე რესტორანში განგებ მოაწყვეს საპურმარილო შეკრება, ამით რეჟიმს და ბიძინა ივანიშვილს ერთგულება დაუდასტურესო. მოკლედ, ასეთია





**მთავარი ის გახლავთ, რომ რესტორანში სუფრასთან მსხდომ მოსამართლეებს მიაყენეს უსაზიზღრესი შეურაცხყოფა შურისძიების მიზნით!.. კერძებში ჩაუფურთხეს...**

იმათი, ბარიკადების მეორე მხარეს მდგომთა ლოგიკა და შეხედულება ბრძოლის ამ სიახლეზე, რაც ყოვლად მიუღებელია ქართული მორალისთვის.

კი თქვა აკაკიმ, ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოო, მაგრამ ილიას ვერაგული მკვლელობით იყო თავზარდაცემული და უნდა ეპატიოს.

აი, ცხვირფიჩორა სალომე სამადაშვილს კი არამცდაარამც არ უნდა მიეტევოს ბინძური „კალამბური", თუკი თქვენ იტანთ „ოცნების" რეჟიმს, პირში შეფურთხებაც უნდა აიტანოთო.

ესეც ნათქვამია, ვაჟკაცი თავის გადაფურთხებულს არ ალოკავსო. ძველია, მამაპაპური და მიუხედავად იმისა, რომ საამო მოსასმენი არ არის, მაინც „მუშაობს". ამ ვითარებაში უთუოდ მისასალმებელია ფურთხის ისეთი რაციონალური გამოყენება, როგორიც მოიფიქრა ჩვენმა მაჩვულვაშა მხატვარმა და ტვინგადაბრუნებულმა ლექტორმა გია ბუღაძემ. მან სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ორ რიგად დასხა ერთმანეთის პირისპირ და „დავალება" მისცა: რაც ძალი და ღონე გაქვთ, სანამ ენები შეშასავით არ გაგიხდებათ, ერთმანეთს აფურთხეთო. ფურთხებით კი აფურთხეს, მაგრამ მას შემდეგ 3-4 წელი გავიდა და არც სამხატვრო აკადემიაში და არც სხვაგან, მსგავსი რამ არ განმეორებულა. ბატონ გიას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, გამოგონებამ პრემია და აღიარება არ მოუტანა!

* * *

**ახალი** საღრიანცელო მიეცა პროტესტანტთა გაფაციცებულ საძმოს. ბათუმში დააპატიმრეს „ბათუმელებისა" და „ნეტგაზეტას" დამფუძნებელი მზია ამაღლობელი. მეორე დღესვე ბათუმი გაივსო თბილისიდან ჩასული თანამოაზრეებით, საპროტესტო ბრძოლაში გამოჯეკილი ორივე სქესის მებრძოლებით. თვითმარქვია სალომე პრეზიდენტმა მ. ამაღლობელის დაპატიმრება „ჟურნალისტთა მიმართ ტერორად" გამოაცხადა.

ჩვენი სატელევიზიო ოპოზიცია საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს საწყალი ქალი იჯდა სახლში თავისთვის, სვამდა ჩაის და წიგნს კითხულობდა. ამ დროს შეუცვივდნენ პოლიციელები, სტაცეს ხელი და წინასწარი დაკავების საკანში შეაგდეს. ესეც არ აკმარეს და სისხლის სამართლის საქმეს უკერავენ, რომელიც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თავისუფლება მზიას!

ძირს არაადამიანური რეჟიმი!

ჯო უილსონი უკვე საქმის კურსშია!!!

არადა, მზია ამაღლობელმა მთელი ქვეყნის თვალწინ ჩაიდინა დანაშაული – ხელი გაარტყა პოლიციელს, თანაც სახეში შემოულაწუნა!

ოპოზიციური პრესა ყაყანებს, ქოთქოთებს, ცდილობს, სიმართლე მიჩქმალოს. მეორე დღესვე ბათუმში ჩავარდა ოპოზიციის მთავარი არბიტრი, დიდი გამრტყმელი და ძველი ბიჭი ელენე ხოშტარია და საქმის გარიგებას შეუდგა, რა თქმა უნდა ისე, როგორც მას წარმოუდგენია.

პარალელურად თავის საყვარელ საქმეს შეუდგა – პოლიციის მანქანებზე და თვითონ პოლიციელებზე სტიკერების მიკვრას, რისი უფლებაც, რა თქმა უნდა, არ მისცეს და დაიწყო მძიმე სიტყვიერი ორთაბრძოლა. ერთი ოფიცერი ამოიჩემა, შენ ევროპას უნდა ემსახურებოდე კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესაბამისადო.

ახლაც სიამოვნებას მგვრის ოფიცრის პასუხი: ქალბატონო, რა თავში ვიხლი ევროპას, მე ჩემს სამშობლოს ვემსახურები!

ყოჩაღ, ძმაო!

სხვათა შორის ამ პასუხმა ენა ჩაუგდო ქალბატონ ელენეს. მერე საქმე ისე წარიმართა, რომ ელენე ხოშტარია პოლიციამ იქაურობას გაარიდა და გარკვეული დროის შემდეგ...ხელწერილით გაათავისუფლა.

**მზია ამაღლობელის საშველად (ყოველ შემთხვევაში ამ მიზნის საქვეყნოდ გამოსაჩენად) ბათუმში ჩავიდა ოთხი გამარჯვებული პარტიიდან ერთ-ერთის ლიდერი გიორგი გახარია. იქ მას ჰკითხეს, როგორც ნაშინაგანსაქმეთამინისტრალს და ნაპრემიერმინისტრალს, ჩაიდინა თუ არა მზიამ დანაშაულიო, რაზეც მან უაპელაციოდ უპასუხა: „ქართულ ოცნებას" შანსი ჰქონდა, რომ ეს ამბავი ჩაექრო, ციხეში არ გამოეკეტა და უბრალოდ – გაეშვა, მაგრამ ეს შანსი არ გამოიყენა, ხელისუფლებამ თავისავე საზიანო გადაწყვეტილება მიიღო. ოღონდ ეს ამბავი ცემამდე იყო, თორემ კაცი იფიქრებდა, ცემის ბრალია, რომ აურიაო.**

რაც შეეხება გიორგი გახარიას ბათუმში ცემას, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს მოხდა 15 იანვარს სასტუმრო „შერატონში". ცემისას ცხვირის ძვლები გაუტყდა და თავის ტვინის შერყევაც განუვითარდა. ვარაუდებისთვის ფართო ასპარეზია: რა მოხდა, როგორ მოხდა, ვინ ვის და ა. შ. საგულდგულოდ უნდა გამოიძიოს, რათა უმალვე აღმოცენებული ჭორ-მართალი კარგად გაირკვეს. ბოლოს და ბოლოს, ორი ნიკას კოალიციაში მყოფი ნაპრემიერალის დაქოთაქების ამბავი შეიძლება ჰააგის გასარჩევიც კი გახდეს. ჩვენი მეგობარი ჯო რომ თავს გამოიდებს, ნაღდია.

ჯოზე გამახსენდა, ჩვენს უილსონზე, რომელიც, როგორც ჩანს, ძალზე გააღიზიანა ვენესუელის არაღიარებული ახალარჩეული პრეზიდენტის ნიკოლას მადუროს მიერ ერთ-ერთი გამოსვლისას ნათქვამმა, „ქართულმა ოცნებამ" საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში სამაგალითო, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა – ქართველი ხლხის 54%-ითო. ჯო უილსონი დაასკვნის: მადურო აქებს ივანიშვილის მცდელობას, ბოლომდე მიიყვანოს საქართველოს ტოტალური შთანთქმა (?!). როგორც მადუროს, ისე ივანიშვილის რეჟიმები არიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის, ირანული რეჟიმის და პუტინის რუსეთის მარიონეტებიო.

**ჯო უილსონს პირველად არ უხსენებია საქართველო ჩინეთის, ირანისა და რუსეთის კონტექსტში. აშკარაა, ამით ცდილობს ანტიქართული აღქმა მოუმზადოს ამერიკის ახალ პრეზიდენტს, რათა მან არალეგიტიმურად გამოაცხადოს საქართველოს ხელისუფლება, ისევე, როგორც ახლახან არალეგიტიმურად გამოაცხადა ვენესუელის ახალარჩეული პრეზიდენტი.**

ასეთ დროს ჯოს პირდაპირ ცის მანანასავით ჩაუვიდნენ ვაშინგტონში ჩვენი პარტიული ბოსები მამუკა ხაზარაძე და მისი სანჩო პანსა ბადრი ჯაფარიძე ერთი ჩემოდანი „დანოსით". გაახარეს და გაიხარეს, როცა ჯოს დაპირება მიიღეს, დღევანდელი საქართველოს არალეგიტიმურ ხელისუფლებას დედას ვუტირებთო.

* * *

**ამასობაში ჩვენმა ახალ-ძველმა „ლეგიტიმურმა" პრეზიდენტმა სულ აიწყვიტა, ჯერ იყო და თავისი ახალი საპრეზიდენტო ოფისი ზუსტად ისე მოიწყო – კედელზე დროშებითა და შტანდარტით, რომ სულ ძველს დაამსგავსა და „რეჩებსაც" ისეთივეს გვასმენინებს, მთლად ძველებურს – რიხითა და სტანდარტით, თორემ ღმერთმა იცოდეს, რომ გამორჩეული და სამახსოვრო არაფერი უთქვამს და ვერც იტყვის. ეს კია, მთელი მისი ფართიფურთი, ვითომ მასებში დგომა, ვითომდა რევოლუციის ხელმძღვანელობა მავზოლეუმს ჰგავს, რომელშიც მკვდარი ბელადი ცოცხალივით ასვენია. მკვდარია, მაგრამ ვითომ ცოცხალია, ანუ, მაგრამ მკვდარია...**



**ჯო უილსონს პირველად არ უხსენებია საქართველო ჩინეთის, ირანისა და რუსეთის კონტექსტში. აშკარაა, ამით ცდილობს ანტიქართული აღქმა მოუმზადოს ამერიკის ახალ პრეზიდენტს, რათა მან არალეგიტიმურად გამოაცხადოს საქართველოს ხელისუფლება...**



**მზია ამაღლობელმა მთელი ქვეყნის თვალწინ ჩაიდინა დანაშაული – ხელი გაარტყა პოლიციელს, თანაც სახეში შემოულაწუნა!**




# საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დაარსებიდან 103 წელი შეუსრულდა




## 2025 წლის 16 იანვარი

**„103 წლის წინ, დღევანდელ დღეს – 16 იანვარს დაარსდა საინჟინრო განათლების პირველი კერა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა არა მხოლოდ საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების ისტორიაში, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პირველმა უმაღლესმა საინჟინრო-ტექნოლოგიურმა სკოლამ კოლოსალური წვლილი შეიტანა საინჟინრო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებასა და ეროვნული საინჟინრო კადრების მომზადების საქმეში. დარწმუნებული ვარ, ყოველ 16 იანვარს, ისევე როგორც ჩვენ, მეცნიერთა, მკვლევართა და სტუდენტთა ახალი თაობები ქედს მოიხრიან უნივერსიტეტისა და დიდ ერისკაცთა – ივანე ჯავახიშვილის, ალექსანდრე დიდებულიძის, ანდრია რაზმაძის, ნიკო და გიორგი ნიკოლაძეებისა და მსოფლიო დონის იმ მრავალი ქართველი მეცნიერის წინაშე, რომელთა წვლილი განუზომელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების საქმეში“, – განაცხადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ უნივერსიტეტის დაარსებიდან 103-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის წევრები, კანცლერი, სამეთვალყურეო საბჭოს პრეზიდენტი, ვიცე-რექტორები, ფაკულტეტების დეკანები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, სამეცნიერო-აკადემიური წრეები და სტუდენტები, ასევე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი, სტუ-ის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მეუფე ანანია ჯაფარიძე.

რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის განცხადებით, 1918 წელს ქვეყნის გამოჩენილმა მეცნიერებმა შეძლეს პირველი ქართული ეროვნული განათლების კერის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, სადაც 1922 წლის 16 იანვარს საფუძველი ჩაეყარა პოლიტექნიკურ ფაკულტეტს, რომელიც მოგვიანებით უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა. ასე იქცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საინჟინრო განათლების პირველ კერად არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონში. დაარსებიდან დღემდე, უნივერსიტეტმა კოლოსალური წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობასა და ეკონომიკურ განვითარებაში.

**„2022 წელს საერთაშორისო საზოგადოებამ, მთელს ქართველ ერთან ერთად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილე აღნიშნა. ეს იყო ღირსშესანიშნავი მოვლენა ქვეყნისა და მთელი რეგიონისთვის – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუმრად იმყოფებოდა ასზე მეტი მაღალი რანგის საპატიო სტუმარი, რომლებიც წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს წარმოადგენდნენ. ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მუდამ იყო და არის უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალთა ალმა-მატერი, რომელსაც, მაღალი დონის ცოდნითა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, ღირსეული წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.**

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და უდიდესია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ჰყავს საინჟინრო-ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული დარგების წამყვანი მეცნიერები, სპეციალისტები, წარმატებული ახალგაზრდა მკვლევრები და მოტივირებული სტუდენტები. ჩვენი სამეცნიერო-აკადემიური წრეები აქტიურად თანამშრომლობენ ისეთ უდიდეს საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან და ცენტრებთან, როგორიცაა: შვეიცარიაში CERN-ი, იაპონიაში KEK-ი და J-Parc-ი, აშშ-ში FERMILAB-ი, რომლებთანაც 2024 წელს ახალი, უნივერსიტეტისა და ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ურთიერთგაგების მემორანდუმები გავაფორმეთ, რითაც თვისობრივად გაცილებით ფართო და ღრმა სამეცნიერო კოლაბორაციებს ჩავუყარეთ საფუძველი. საგულისხმოა, რომ ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ჩვენს უნივერსიტეტში სპეციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ CERN-ის საბჭოს ახლადარჩეული პრეზიდენტი, პროფესორი კოსტას ფონტასი და CERN-ის მეცნიერთა წარმომადგენლობითი დელეგაცია. გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა ორ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ფორუმს – ჰეგელის 35-ე საერთაშორისო საიუბილეო კონგრესს, რომელშიც 300-მდე ცნობილი უცხოელი მეცნიერი და მკვლევარი მონაწილეობდა; აგრეთვე 25-ე საერთაშორისო კონფერენციას ნანოსტრუქტურებში მსუბუქი-მატერიის დაწყვილების ფიზიკის შესახებ – PLMCN2024-ს. წარმატებით ვთანამშრომლობთ უილიხის ცენტრთან და ორგანიზაცია DAAD-თან. მჭიდრო კონტაქტები გვაქვს ამერიკის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა წამყვან უნივერსიტეტთან.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რეგიონში პირველი უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც ამერიკული საერთაშორისო ABET აკრედიტაცია ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამისთვის მიენიჭა.**

**ჩვენთვის მნიშვნელოვანია მრავალმხრივი საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციები, მნიშვნელოვანია სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამებში ჩართვა, ახალი კონტაქტები, ახალი პროექტები, ახალი მიზნები. ყველა დღევანდელი ძალისხმევა მომავალი თაობების კეთილდღეობისკენ არის მიმართული. 2022 წელს, როცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლისთავი აღვნიშნეთ, საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში, ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე სკვერში, მომავლის სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის განვათავსეთ კაფსულა, რომელიც ყველაზე სანუკვარ სურვილებს, მიზნებს, მოლოდინებს ინახავს და ამ მომავლის კაფსულას 2072 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 150 წლის იუბილეზე, სწორედ მომავლის თაობა გახსნის“**, – აღნიშნა თავის გამოსვლაში დავით გურგენიძემ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 103-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, სტუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორს **ზურაბ ჩახნიანს** და სტუ-ის აკადემიური საბჭოს სწავლულ მდივანს, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს **იაშა (კოკა) კუტუბიძეს**, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, უნივერსიტეტის „ოქროს მედალი“ გადასცა, ხოლო ცნობილი მწერალი და ნოველისტი შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, „ღირსების ორდენის“ კავალერი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ფაკულტეტის პროფესორი **რევაზ მიშველაძე**; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები **მაია დავითაია** და **მაია ძიძიგური** უნივერსიტეტის საპატიო დიპლომებით დააჯილდოვა.

ღონისძიების მსვლელობისას საუნივერსიტეტო სახალხო თეატრ-სტუდია „მოდინახეს“ დასის მსახიობებმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა ნუგზარ ბუცხრიკიძემ წარმოადგინეს ეპიზოდი სამომავლო სპექტაკლიდან, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას ეძღვნება. დასასრულს კი, სტუ-ის იუზა კუბლაშვილის სახელობის ვაჟთა სახალხო კაპელამ, სამხატვრო ხელმძღვანელის ციცინო ფალავანდიშვილის დირიჟორობით, ორი კომპოზიცია შეასრულა.

**ცნობისთვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, დაარსებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განათლებისა და მეცნიერების განვითარებისა და ქვეყნის აღორძინებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – „წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“ მიანიჭა.**

## ეროვნული არქივის ლაბორატორიამ 2024 წელს 27 000-მდე ფურცელი აღადგინა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიაში 2024 წლის განმავლობაში რესტავრაცია ჩაუტარდა საარქივო დოკუმენტების 26 527 ფურცელს, 140 ფოტოს, 144 გაზეთს, 74 ტექნიკურ (საპროექტო) ნახაზს.**

დოკუმენტებს შორის არის საისტორიო, უახლესი ისტორიისა და კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალურ არქივებში დაცული მასალა.

„აღსანიშნავია, რომ დასრულდა ეროვნულ არქივში დაცული მე-17 საუკუნის საეკლესიო წიგნის (სვინაქსარის) რესტავრაცია. ეროვნული არქივის რესტავრატორებმა ასევე დაასრულეს XII-XIII საუკუნეების ქურაშის ოთხთავის რესტავრაცია, რომელიც ეტრატზეა შესრულებული და პალიმფსესტურ ფურცლებს შეიცავს. ხელნაწერი დაუბრუნდა მესტიის რაიონის სოფელ ქურაშის თემს.

ეროვნული არქივი რესტავრაციის პროცესში თანამედროვე სარესტავრაციო მასალასა და ტექნოლოგიებს იყენებს, რაც საარქივო დოკუმენტების უკეთ დაცვასა და ხანგრძლივად შენახვას ემსახურება“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები პროფესორ-ექიმების ნიღბით


ოთხშაბათი, 14 იანვარი, 1953 წ. № 11 (9479).

ქ რ ო ნ ი კ ა

მავნებელი ექიმების ჯგუფის დაპატიმრება

რამდენიმე ხნის წინათ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს ექიმთა ტერორისტული ჯგუფი, რომელნიც მიზნად ისახავდნენ, მავნებლური მკურნალობის გზით, სიცოცხლე შეემოკლებინათ საბჭოთა კავშირის აქტიური მოღვაწეებისათვის.

ამ ტერორისტული ჯგუფის მონაწილეთა შორის აღმოჩნდნენ: პროფესორი **მ. ს. ვოვსი**, ექიმი-თერაპევტი; პროფესორი **ვ. ნ. ვინოგრადოვი**, ექიმი-თერაპევტი; პროფესორი **მ. ბ. კოგანი**, ექიმი-თერაპევტი; პროფესორი **ბ. ბ. კოგანი**, ექიმი-თერაპევტი; პროფესორი **პ. ი. ეგოროვი**, ექიმი-თერაპევტი; პროფესორი **ა. ი. ფელდმანი**, ექიმი-ოტოლარინგოლოგი; პროფესორი **ი. გ. ეტინგერი**, ექიმი-თერაპევტი; პროფესორი **ა. მ. გრინშტეინი**, ექიმი-ნევროპათოლოგი; **გ. ი. მაიოროვი**, ექიმი-თერაპევტი.

... მკურნალობის ... სამკურნალო საშუალებებს, დააწესეს მისთვის დამღუპველი რეჟიმი და ამ გზით სიკვდილამდე მიიყვანეს იგი.

დამნაშავე ექიმები ცდილობდნენ პირველ რიგში ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელმძღვანელი სამხედრო კადრების ჯანმრთელობისათვის, მწყობრიდან გამოეყვანათ ისინი და დაესუსტებინათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა. ისინი ცდილობდნენ მწყობრიდან გამოეყვანათ მარშალი ა. მ. ვასილევსკი, მარშალი ლ. ა. გოვოროვი, მარშალი ი. ს. კონევი, არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო, ადმირალი გ. ი. ლევჩენკო და სხვები, მაგრამ დაპატიმრებამ ჩაშალა მათი ავაზაკური გეგმები და დამნაშავეებმა ვერ მოახერხეს მიეღწიათ თავიანთი მიზნისათვის.

დადგენილია, რომ ყველა ეს მკვლელი ექიმები, რომლებიც ადამიანთა მოდგმის ურჯუკები გახდნენ და რომ...


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 11 (9479) ოთხშაბათი, 14 იანვარი, 1953 წ. ფასი 20 კაპ.

**დღეს ქვეყნდება საკდესის ქრონიკა მავნებელ ექიმთა ჯგუფის დაპატიმრების შესახებ. ეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა, მიზნად ისახავდა, მავნებლური მკურნალობის გზით, სიცოცხლე შეემოკლებინათ საბჭოთა კავშირის აქტიური მოღვაწეებისათვის.**

გამოძიებით დადგენილია, რომ ტერორისტული ჯგუფის მონაწილეენი, სარგებლობდნენ რა იმით, რომ ექიმები იყვნენ და ბოროტად იყენებდნენ რა ავადმყოფთა ნდობას, წინასწარ განზრახვით, ავაზაკურად უთხრიდნენ ძირს მათ ჯანმრთელობას, აკეთებდნენ არასწორ დიაგნოზებს, ხოლო შემდეგ არასწორი მკურნალობით ღუპავდნენ ავადმყოფებს. ეფარებოდნენ რა მეცნიერების – ექიმის მაღალ და კეთილშობილურ წოდებას, ამ მტარვალებმა და მკვლელებმა ფეხქვეშ გათელეს მეცნიერების წმიდა დროშა, დაადგნენ რა საზარელ დანაშაულობათა გზას, მათ შეურაცხყვეს მეცნიერთა ღირსება.

ადამიანისმაგვარ მხეცთა ამ ბანდის მსხვერპლნი გახდნენ ამხანაგები **ა. ა. ჟდანოვი** და **ა. ს. შჩერბაკოვი.** დამნაშავეებმა აღიარეს, რომ მათ, ისარგებლეს რა ამხანაგ ჟდანოვის ავადმყოფობით, განზრახ დამალეს მიოკარდის ინფარქტი, რომელიც მას ჰქონდა, დანიშნეს რა ამ მძიმე დაავადების დროს წინააღმდეგ ნაჩვენები რეჟიმი და ამით მოკლეს ამხანაგი ჟდანოვი. მკვლელმა ექიმებმა ძლიერმოქმედ სამკურნალო საშუალებათა არასწორი გამოყენებით და დამღუპველი რეჟიმის დაწესებით სიცოცხლე შეუმოკლეს ამხანაგ შჩერბაკოვს, სიკვდილამდე მიიყვანეს იგი.

დამნაშავენი პირველ რიგში ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელმძღვანელი სამხედრო კადრების ჯანმრთელობისთვის, მწყობრიდან გამოეყვანათ ისინი და ამით დაესუსტებინათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა. დამნაშავეთა დაპატიმრებამ ჩაფუშა მათი ავაზაკური გეგმები, ხელი შეუშალა მათ, განეხორციელებინათ თავიანთი საზარელი მიზანი.

ვის ემსახურებოდნენ ეს მტარვალები? ვინ წარმართავდა სამშობლოს ამ საზიზღარ მოღალატეთა დანაშაულებრივ ტერორისტულ და მავნებლურ საქმიანობას? რა მიზნის მიღწევა სურდათ საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მოღვაწეების მოკვლის შედეგად?

გამორკვეულია, რომ ექიმთა ტერორისტული ჯგუფის ყველა მონაწილე უცხოეთის დაზვერვათა სამსახურში იყო, მიჰყიდეს მათ სული და ხორცი, მათი დაქირავებული, ფასიანი აგენტები იყვნენ.

ტერორისტული ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა – **ვოვსი, ა. კოგანი, ფელდმანი, გრინშტეინი, ეტინგერი** და სხვები – მოსყიდული იყვნენ ამერიკის დაზვერვის მიერ. ისინი გადაიბირა ამერიკის დაზვერვის ფილიალმა – ებრაელთა საერთაშორისო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა ორგანიზაცია „ჯოინტმა". მთლიანად მხილებულია ბინძური სახე ამ ჯაშუშური სიონისტური ორგანიზაციისა, რომელიც თავის საზიზღარ საქმიანობას ფარავდა ქველმოქმედების ნიღბით.

ემყარებოდნენ რა ებრაელთა გახრწნილ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ჯგუფს, პროფესიონალმა ჯაშუშებმა და ტერორისტებმა „ჯოინტიდან", ამერიკის დაზვერვის დავალებითა და ხელმძღვანელობით, გააჩაღეს ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც. როგორც დაპატიმრებულმა **ვოვსიმ** გამოძიებაზე აჩვენა, მან ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო დირექტივა „სსრ კავშირის ხელმძღვანელი კადრების მოსპობის შესახებ". ეს დირექტივა ჯაშუშურ-ტერორისტული ორგანიზაციის „ჯოინტის" სახელით მას გადასცეს ექიმმა **შიმელიოვიჩმა** და ცნობილმა ებრაელმა ბურჟუაზიულმა ნაციონალისტმა **მიხოელსმა.**

ექიმ-მომწამვლელთა ბანდის მხილება ლახვრის ჩაცემაა ებრაელთა საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაციისთვის. ახლა ყველას შეუძლია დაინახოს, თუ როგორი „ქველმოქმედნი" და „მშვიდობის მეგობარნი" აფარებდნენ თავს „ჯოინტის" აზრას.


ლიდია ტიმაშუკი

**ექიმ-მომწამვლელთა ბანდის აღმოჩენა გამანადგურებელი ლახვრის ჩაცემაა ამერიკელ-ინგლისელი ომის გამჩაღებლებისათვის. დაპატიმრებული და გაუვნებელყოფილია მათი აგენტურა. მთელი მსოფლიოს წინაშე კვლავ წარმოსდგა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მონათმფლობელი კაციჭამიების ნამდვილი სახე.**

ტერორისტული ჯგუფის სხვა მონაწილეენი (**ვინოგრადოვი, მ. კოგანი, ეგოროვი**), როგორც ახლა გაირკვა, ინგლისის დაზვერვის ძველი აგენტები არიან, დიდი ხანია ემსახურებიან მას, ასრულებენ მის ყველაზე დანაშაულებრივ და ბინძურ დავალებებს.

**ამერიკის შეერთებული შტატების მესვეურებმა და მათმა ინგლისელმა „უფროსმა პარტნიორებმა" იციან, რომ შეუძლებელია მშვიდობიანი გზით მიაღწიონ სხვა ერებზე ბატონობას. გამალებით ემზადებიან რა ახალი მსოფლიო ომისათვის, ისინი გაძლიერებით გზავნიან სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ზურგში თავიანთ ჯაშუშებს, ცდილობენ განახორციელონ ის, რაც ჰიტლერელებს ჩაეფუშათ, – შექმნან სსრ კავშირში თავიანთი ძირგამომთხრელი „მეხუთე კოლონა". საკმარისია გავიხსენოთ ამერიკის მთავრობის მიერ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ძირგამომთხრელი ტერორისტული და ჯაშუშური საქმიანობისთვის ასი მილიონი დოლარის აშკარა და ცინიკური ასიგნება, თუ აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ამ მიზნისთვის ფარულად იხარჯება ამერიკისა და ინგლისის ასობით მილიონი დოლარი.**

საბჭოთა ადამიანებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ თავიანთი სიფხიზლე, ფხიზლად ადევნონ თვალყური ომის გამჩაღებლებისა და მათი აგენტების ყველა ოინს, დაუცხრომლად განამტკიცონ ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და დაზვერვის ორგანოები.

ამხანაგი სტალინი არაერთხელ გვაფრთხილებდა, რომ ჩვენს წარმატებას აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეც, რომ ეს წარმატებანი ბევრ ჩვენს მუშაკში წარმოშობენ განცხრომისა და თვითდამშვიდების განწყობილებას. ამგვარი განწყობილება ჯერ კიდევ როდია დაძლეული. დოყლაპიები ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია. სწორედ ჩვენი ადამიანების ეს დოყლაპიობა წარმოადგენს მასაზრდოებელ ნიადაგს ავაზაკური მავნებლობისათვის.

სსრ კავშირში განუყოფლად ბატონობს სოციალისტური ურთიერთობა. საბჭოთა ხალხმა ისტორიაში უმაგალითო გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში, უმაგალითოდ


ა. შჩერბაკოვი


ა. ჟდანოვი

## ზუსტად 72 წლის წინათ


საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები პროფესორ-ექიმების ნიღბით

დღეს ქვეყნდება საკდესის ქრონიკა მავნებელ ექიმთა ჯგუფის დაპატიმრების შესახებ. ეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა, მიზნად ისახავდა, მავნებლური მკურნალობის გზით, სიცოცხლე შეემოკლები-

...ნად მხილებულია ბინძური სახე ამ ჯაშუშური სიონისტური ორგანიზაციისა, რომელიც თავის საზიზღარ საქმიანობას ფარავდა ქველმოქმედების ნიღბით.

ემყარებოდნენ რა ებრაელთა გახრწნილ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ჯგუფს, პროფესიონ-

ბევრ ჩვენს მუშაკში წარმოშობენ განცხრომისა და თვითდამშვიდების განწყობილებას. ამგვარი განწყობილება ჯერ კიდევ როდია დაძლეული. დოყლაპიები ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია. სწორედ ჩვენი ადამიანების ეს დოყლაპიობა წარმოადგენს მასაზრდოებელ ნიადაგს ავაზაკუ-

რომლებსაც მხარს უჭერს იმპერიალისტური სამყარო, კვლავაც გასწევენ მავნებლობას.

ყოველივე ეს ავალებს საბჭოთა ადამიანებს ყველა ღონისძიებით გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე, ფხიზლად ადევნონ თვალყური მტრის ოინებს. ის ფაქტი, რომ „მეცნიერების

# სანამ არის ჩვენში დოყლაპიობა, მავნებლობაც იქნება!

მოკლე ვადაში აღმოფხვრილია ომის მძიმე შედეგები. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენ წარმატებები გვაქვს. ამ ფაქტებიდან ზოგიერთნი აკეთებენ დასკვნას, რომ ახლა უკვე აღარ არის მავნებლობის, დივერსიების, ჯაშუშობის საფრთხე, რომ კაპიტალისტური სამყაროს მესვეურებს შეუძლიათ, უარი თქვან თავიანთ ცდებზე, აწარმოონ ძირგამომთხრელი საქმიანობა სსრ კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ ასე ფიქრი და მსჯელობა შეუძლიათ მხოლოდ მემარჯვენე ოპორტუნისტებს, ადამიანებს, რომლებიც იცავენ კლასობრივი ბრძოლის „ქრობის“ ანტიმარქსისტულ თვალსაზრისს. მათ არ ესმით ან ვერ გაუგიათ, რომ ჩვენი წარმატებანი იწვევენ ბრძოლის არა ქრობას, არამედ გამწვავებას, რომ რაც უფრო წარმატებითი იქნება ჩვენი წინსვლა, მით უფრო მწვავე იქნება ბრძოლა ხალხის მტრებისა, რომლებიც განწირულნი არიან დასაღუპავად, ისინი მისული არიან სასოწარკვეთილებამდე.

ასე გვასწავლის უკვდავი ლენინი, ასე გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

„ჩვენი რევოლუციის გამოცდილებამ, – აღნიშნავს ლენინი, – უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა რევოლუციამ, დაამტკიცა ის კანონი, რომ რევოლუციის ძალა, შეტევის ძალა, ენერგია, გამბედაობა და მისი გამარჯვების ზეიმი ამასთან ერთად აძლიერებს წინააღმდეგობის ძალას ბურჟუაზიის მხრივ“.

ამხილებდა რა ოპორტუნისტულ თეორიას ჩვენი წარმატებების შედეგად კლასობრივი ბრძოლის „ქრობის“ შესახებ, ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებდა:

„ეს არა მარტო დამპალი თეორიაა, არამედ საშიში თეორიაცაა, ვინაიდან იგი აძინებს ჩვენს ადამიანებს, ხაფანგში აბამს მათ, კლასობრივ მტრებს კი შესაძლებლობას აძლევს, წელში გაიმართოს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად“.

სსრ კავშირში დიდი ხანია განადგურებული და ლიკვიდირებული არიან ექსპლოატატორული კლასები, მაგრამ ჯერ კიდევ დარჩა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ნაშთები, – დარჩნენ ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ბურჟუაზიული მორალის მატარებლები – ცოცხალი ადამიანები, ჩვენი ხალხის ფარული მტრები. სწორედ ეს ფარული მტრები, რომლებსაც მხარს უჭერს იმპერიალისტური სამყარო, კვლავაც გასწევენ მავნებლობას.

**ყოველივე ეს ავალებს საბჭოთა ადამიანებს, ყველა ღონისძიებით გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე, ფხიზლად ადევნონ თვალყური მტრის ოინებს. ის ფაქტი, რომ „მეცნიერების ადამიანთა“ საზიზღარი მახინჯების ჯგუფი გარკვეული დროის მანძილზე დაუსჯელად მოქმედებდა, ცხადყოფს, რომ ზოგიერთმა ჩვენმა საბჭოთა ორგანომ და მათმა ხელმძღვანელებმა დაკარგეს სიფხიზლე, დაავადდნენ დოყლაპიობით.**

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დროზე ვერ აღმოაჩინეს მავნებლური, ტერორისტული ორგანიზაცია ექიმთა შორის. ამავე დროს ეს ორგანოები განსაკუთრებით ფხიზელნი უნდა იყვნენ, რადგან ისტორიამ უკვე იცის მაგალითები, როცა ექიმის ნიღბით მოქმედებდნენ საზიზღარი მკვლელები და სამშობლოს მოღალატენი, როგორიც იყვნენ, „ექიმები“ **ლევინი, პლეტნიოვი,** რომლებმაც საბჭოთა კავშირის მტრების დავალებით განზრახ არასწორი მკურნალობის გზით სიკვდილამდე მიიყვანეს დიდი რუსი მწერალი **ა. მ. გორკი,** საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები **ვ. ვ. კუიბიშევი** და **ვ. რ. მენჟინსკი.**

თავის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებიც. მათ ვერ შეამჩნიეს მავნებლური ტერორისტული საქმიანობა საზიზღარი მახინჯებისა, რომლებმაც თავი საბჭოთა კავშირის მტრებს მიჰყიდეს.

ექიმ-მომწამვლელთა ბანდის აღმოჩენა გამანადგურებელი ლახვრის ჩაცემაა ამერიკელ-ინგლისელი ომის გამჩაღებლებისათვის. დაპატიმრებული და გაუვნებელყოფილია მათი აგენტურა. მთელი მსოფლიოს წინაშე კვლავ წარმოსდგა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მონათმფლობელი კაციჭამიების ნამდვილი სახე.

საბჭოთა ხალხი გულისწყრომითა და აღშფოთებით სამარცხვინო ბოძზე აკრავს მკვლელთა დანაშაულებრივ ბანდას და მათ უცხოელ ბატონებს. საზიზღარ დაქირავებულ აგენტებს, რომლებმაც თავი გაყიდეს დოლარებად და სტერლინგებად, იგი გასრესს როგორც საზიზღარ ქვეწარმავალს. რაც შეეხება ამ დაქირავებულ მკვლელების სულისჩამდგმელებს, მათ შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ შურისგება არ დაივიწყებს მათ და იპოვის გზას მათკენ, რათა თავისი მტკიცე სიტყვა უთხრას.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სწორია. მაგრამ სწორია ისიც, რომ ამ მტრების გარდა ჩვენ გვყავს კიდევ ერთი მტერი – ჩვენი ადამიანების დოყლაპიობა: შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ სანამ ჩვენში არის დოყლაპიობა, – იქნება მავნებლობაც. მაშასადამე, მავნებლობა რომ მოვსპოთ, საჭიროა, ბოლო მოვუღოთ დოყლაპიობას ჩვენს რიგებში.

**„პრავდა“, 1953 წლის 13 იანვარი.**

**ისტორიული განვითარების გზის სპირალურობის შესახებ ყველას მოეხსენება: არაფერია მზისქვეშეთში ახალი, იცვლება მხოლოდ დეკორაციები, მოქმედი პირნი და შემსრულებლები, მისწრაფებები, ქვენა გრძნობები და ქმედებათა ფარული მექანიზმები კი ფაქტობრივად, უცვლელი რჩება.**



ნებისმიერი სახელმწიფოს აღზევებას, მისი ძლიერების გაზრდასა და ეკონომიკურ წინსვლას, ყველგან და ყველა დროში აუარება გარე და შინა მტრები ჰყავდა. ამას ცხადად მოწმობს საქართველოს უახლესი, მე-20 საუკუნეში დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვებიდან გასული სულ მცირე, სამი ათეულ წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის ისტორიაც – დაწყებული ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ტრაგიკული ისტორიით და დღევანდელი ვითარებით დამთავრებული. თანაც ჩვენს თავს დატეხილ ყველა უბედურებისა და არეულობის მთავარი მამოძრავებელი ძალების ქმედებათა ძირითადი ნაწილი, საზოგადოებისთვის მუდამ დაფარული და იდუმალების საბურველით იყო მოცული.

ამას ბევრი მტკიცება რომ არ სჭირდება, თუნდაც ახლო ისტორიის ერთი ამბავი მოწმობს, რომელიც პირველად 1953 წლის 13 იანვარს (ზუსტად 72 წლის წინათ) სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალურ ბეჭდვით ორგანოში – გაზეთ „პრავდაში“ გახმაურდა სტატიაში „საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები პროფესორ-ექიმების ნიღბით“.

ამ საქმის არსი მოკლედ რომ გაგაცნოთ, საკმარისია ითქვას, რომ 1952 წლის 29 ოქტომბერს „ექიმთა საქმის“ ერთ-ერთმა ფიგურანტმა, კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს უფროსმა **პ. ეგოროვმა** დაკითხვაზე აღიარა, რომ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. კუზნეცოვმა, რომელიც შემდგომ ამ საქმის საკვანძო ფიგურანტი გახდა, დაუფარავად მიანიშნა: იგი არ იყო დაინტერესებული ა. ჟდანოვის გამოჯანმრთელებაში, რასაც მისი ყველა შემდგომი მოქმედებაც ადასტურებდა.



ი. ეტინგერი

ა. ჟდანოვი კი, პარტიულ იერარქიაში N2 პირი, როგორც ცნობილია, საბჭოთა სახელმწიფოსა და კომპარტიის ცნობილი მოღვაწე, იოსებ სტალინის ერთგული თანამებრძოლი იყო, ამდენად, მის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება სახელმწიფოს ძირის გამოთხრასა და პირადად მისი ლიდერის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამასთან, „ექიმთა საქმე“ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში (სუს-ი) 1951 წელს დაწყებული მასობრივი წმენდების გაგრძელება იყო, რომელთა მთავარი სამიზნე ჯერ მინისტრი **ვ. აბაკუმოვი,** შემდეგ კი – როგორც სპეცსამსახურების კურატორი **ლავრენი ბერია,** იოსებ სტალინის ერთგული ქართველი თანამებრძოლი იყო. თუმცა ისიცაა, რომ 1953 წლის აპრილში ლ. ბერიამ ამ საქმის შეჩერება შეძლო, რომელსაც საფუძვლად უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის **მ. რიუმინის** პროვოკაციული მონაგონი ედო. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, დიდი მავნებლობისა და ღალატის ბინძურ საქმეში წამყვანი როლი მეტად უმნიშვნელო „პატარა ადამიანს“, ექიმ-კარდიოლოგ ლიდია ტიმაშუკს დაეკისრა.

საქმე ისაა, რომ ლ. ტიმაშუკი, რომელმაც კრემლის საავადმყოფოში მუშაობა 1926 წელს დაიწყო, 1948 წლის აგვისტოში ვალდიაში გამოიძახეს, სადაც ქვეყნის საუკეთესო ექიმები ა. ჟდანოვს მკურნალობდნენ. სსრ კავშირის სუსის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ ნ. ვლასიკის სახელზე 28 აგვისტოს დაწერილ განცხადებაში, იმ დროისთვის უკვე კრემლის საავადმყოფოს ფუნქციონალური მედიცინის განყოფილების გამგე **ლ. ტიმაშუკი,** იტყობინებოდა, რომ ელექტროკარდიოგრამის ჩვენებების მიხედვით, პაციენტს მიოკარდის ინფარქტი დაუდგინდა. თუმცა კი ამის მიუხედავად, კრემლის საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ, კერძოდ, აკადემიკოსმა **ვ. ვინოგრადოვმა,** პროფესორებმა **პ. ეგოროვმა და ვ. ვასილენკომ,** დიაგნოზად სკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადების საფუძველზე ჩამოყალიბებული ფუნქციონალური აშლილობა დაადგინეს, ამიტომაც მას დასკვნის გადაკეთება მოსთხოვეს. თავის განცხადებაში კარდიოლოგმა ბრალი დასდო კრემლის საავადმყოფოს

გაგრძელება მე-8 გვ.



ვ. ვინოგრადოვი



პ. ეგოროვი



ვ. ვასილენკო

# სანამ არის ჩვენში დოყლაპიობა, მავნებლობაც იქნება!


ლ. ბერია


ვ. აბაკუმოვი


მ. რიუმინი

მეშვიდე გვერდიდან

კონსულტანტებს იმაში, რომ ჯეროვნად ვერ შეაფასეს ა. ჟდანოვის მდგომარეობა, ლოგინიდან ადგომის, სეირნობისა და კინოს ნახვის ნებაც კი დართეს, რამაც დიდად დაამძიმა მისი ჯანმრთელობა. სამი დღის შემდეგ ა. ჟდანოვი გარდაიცვალა... 6 სექტემბერს კი ა. ეგოროვმა საგანგებო თათბირი მოიწვია, სადაც უკვე ხსენებულმა ვინოგრადოვმა და ვასილენკომ, ასევე ექიმმა **მაიოროვმა** და პათოლოგანატომმა **ფედოროვმა** სასტიკად გააკრიტიკეს ლ. ტიმაშუკის დიაგნოზი. შედეგად, ქალი კრემლის საავადმყოფოს ფილიალში გადაიყვანეს.

საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულმა **ლ. ტიმაშუკმა** ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა და კიდევ სამი განცხადებით მიმართა სუს-ისა და ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკითხი კრემლის მაღალჩინოსან მედიკოსთა სასარგებლოდ გადაწყდა.

არადა, ჯერ კიდევ 1937 წლის სექტემბერში **ლ. ტიმაშუკმა** პირველმა ატეხა განგაში თავისი კოლეგების საექიმო დაუდევრობის **(თუ მავნებლობის? – რედ.)** თაობაზე. მაშინ ს. ორჯონიკიძეს ელექტროკარდიოგრამა გაუმართავ აპარატზე გადაუღეს. ამისა და სამედიცინო ანალიზისადმი ფორმალური დამოუკიდებულების შესახებ, ტიმაშუკმა შინსახკომს ამცნო, თუმცა სათანოდ რეაგირება არც პირველ, არც მეორე შემთხვევაში ამ ამბავს არ მოჰყოლია.

„ექიმთა საქმესთან“ დაკავშირებით, კიდევ შეიძლება ითქვას, რომ სუს-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის **მ. რიუმინის** 1951 წლის 2 ივნისის ცნობით, ეჭვმიტანილი ებრაელი ნაციონალისტის **ი. ეტინგერის** აღიარებით, მან, მკურნალობის მავნებლური მეთოდების გამოყენებით კოლეგებთან ერთად განზრახ გამოასალმა სიცოცხლეს პოლიტბიუროს წევრი **ა. შჩერბაკოვი,** მაგრამ მაშინდელმა მინისტრმა **ვ. აბაკუმოვმა** საქმეს მსვლელობა არ მისცა. მისი თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ კი გამოძიება უმაღლესი რანგის მედიკოსებით დაინტერესდა და ლ. ტიმაშუკის შეტყობინებები არქივიდან ამოიღეს. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაპატიმრებული კოლეგების მოქმედებებისთვის მას „მავნებლური“ არასდროს უწოდებია და „საექიმო შეცდომებად“ რაცხდა.

1953 წლის 20 იანვარს, **„მკვლელ ექიმთა საქმეში მთავრობისადმი გაწეული დამსახურებისთვის“ ლიდია ტიმაშუკი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, თუმცა კი უკვე 4 აპრილს გაზეთ „პრავდა“ იტყობინებოდა, რომ „ახლადაღმოჩენილი გარემოებათა გათვალისწინებით“, დაჯილდოება გაუქმდა.**

რა გარემოებები იყო ეს და ვინ მიაგნო მათ, დღემდე კაცმა არ იცის. დაჯილდოებასა და ჯილდოს ჩამორთმევას შორის განვლილ სამ თვეში კი უკვე ასაკოვანმა ქალმა ლ. ტიმაშუკმა მის მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულების მთელი სპექტრი გამოიარა – დაწყებული უზომო სიხარულით დამთავრებული უკიდურესი სიძულვილით.

კიდევ სამი წლის შემდეგ, კომპარტიის მე-20 ყრილობაზე თავის მოხსენებაში „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“, **ნ. ხრუშჩოვმა ლ. ტიმაშუკს** ფაქტობრივად მთელი „ექიმთა საქმის“ ფაბრიკაცია დააბრალა და სამუდამოდ მიაკრა დამბეზღებლის იარლიყი...

**ასეთი იყო ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მსახური რუსეთის „მეხუთე კოლონის“ ჯაშუში მკვლელების მაშინდელი თავგადასავალი.**

**„ექიმთა საქმე“ საბჭოთა ადამიანების დოყლაპიობასაც გრალდებოდა და „პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილის მთავარი გაფრთხილება ასეთი იყო –**

**„სანამ ჩვენში არის დოყლაპიობა, მავნებლობაც იქნება“! რა თანამედროვედ ჟღერს ეს სიტყვები!.. კარგად დაფიქრდით და ფართოდ გაახილეთ თვალები დოყლაპია ქართველებო, ოცდამეერთე საუკუნის დახვეწილმა აგენტებმა, უცხოელმა და ქართველმა ჯო უილსონებმა, ზურაბიშვილებმა, გახარიებმა, ხაზარაძეებმა, სააკოვებმა, ჯაფარიძეებმა... ათასი რჯულის მანქურთებმა, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა ე, მანდ, სიმწრით მოპოვებული დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და თავისუფლება არ წაგვართვან!**

**„საქართველოს რესპუბლიკა“**
**2025 წლის იანვარი**



## სახალხო ინაუგურაციას ყინვა აფერხებს!

**ინაუგურაციის დახურულ სივრცეში გადატანის შესახებ გადაწყვეტილებას დონალდ ტრამპი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.**

ტრამპის თქმით, პროგნოზის მიხედვით, 20 იანვარს ვაშინგტონში ჯანმრთელობისათვის სახიფათო ყინვაა მოსალოდნელი.

„სახიფათო პირობებია ასობით ათასი მხარდამჭერისთვის, ათობით ათასი სამართალდამცველისთვის, საგანგებო სამსახურების თანამშრომელთათვის, პოლიციის ძაღლებისა და ცხენებისთვისაც კი.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოსვლას თუ გადაწყვეტთ, თბილად ჩაიცვით“, – თქვა აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა.

დონალდ ტრამპის ინაუგურაცია უამინდობის გამო კონგრესის შენობაში გაიმართება. მეტეოროლოგების პროგნოზით, 20 იანვარს ვაშინგტონში -11 გრადუსია მოსალოდნელი.

## ტრამპი უკანონო მიგრანტების წინააღმდეგ მასშტაბურ ოპერაციას გეგმავს!



**აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ინაუგურაციის შემდეგ უკანონო მიგრანტების წინააღმდეგ მასშტაბურ რეიდს დაიწყებს. ოპერაცია ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.**

რეიდის ჩასატარებლად საიმიგრაციო სამსახურის 100-დან 200 თანამშრომლამდე ჩართვა იგეგმება. ძირითადი სამიზნე კრიმინალური წარსულის მქონე მიგრანტები გახდებიან. პირველ ეტაპზე მსგავსი ღონისძების ჩატარება ჩიკაგოში იგეგმება.

რეიდის სამიზნედ ჩიკაგო სხვადასხვა მიზეზის გამოა არჩეული. ამ ქალაქში მიგრანტების მიმართ შედარებით ლოიალური წესები არსებობს. ასევე ტრამპს ქალაქის მერთან, „დემოკრატების“ წარმომადგენელთან ბრენდონ ჯონსონთან ცოტა ხნის წინ კონფლიქტი მოუვიდა.

გამოცემა წერს, რომ ანალოგიური რეიდების ჩატარება ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში, დენვერში და მაიამიში იგეგმება.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ტრამპი აცხადებდა, რომ აშშ-ის ისტორიაში დეპორტაციის ყველაზე მასშტაბურ პროგრამას დაიწყებს, რომლის შედეგად აშშ-დან 15-20 მლნ მიგრანტის გაძევება მოხდება. ტრამპმა ასევე განაცხადა, რომ უკანონო მიგრაციასთან ბრძოლას პრეზიდენტობის პირველივე დღიდან დაიწყებს.

## დონალდ ტრამპმა საკუთარი კრიპტოვალუტა $TRUMP გამოუშვა



**ამერიკის არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საკუთარი კრიპტოვალუტა გამოუშვა. ამის თაობაზე მან სოციალურ ქსელში დაწერა. მედიის ცნობით, გამოშვებიდან პირველ საათებში მემკოინ $TRUMP-ის კაპიტალიზაციამ 3 მილიარდ დოლარს მიაღწია.**

პროექტის ვებგვერდი შეიცავს ტრამპის ცნობილ ფრაზას „იბრძოლე, იბრძოლე, იბრძოლე“!, რომელიც მან 2024 წლის ზაფხულში თქვა, როდესაც მისი მოკვლა სცადეს.

## ილონ მასკი: ღრმა პესიმიზმი ევროპას „დასასრულისკენ“ მიაქანებს!

**კომპანია SpaceX-ის დამფუძნებელმა და ტრამპის ადმინისტრაციაში აშშ-ის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის მომავალმა თანახელმძღვანელმა ილონ მასკმა განაცხადა, რომ ევროპაში ბევრ ადამიანს არ აქვს მომავლის იმედი.**

**„ევროპაში ბევრ ადამიანს არ აქვს მომავლის იმედი ან ფიქრობს, რომ ევროპა რაღაცნაირად „ცუდია“. ღრმა პესიმიზმი, – ეს გამოიწვევს ევროპის დასასრულს. ამიტომ ეს უნდა შეიცვალოს“,** – დაწერა ილონ მასკმა სოციალურ ქსელ X-ზე.



## თამარ ჩიბურდანიძე:
# ხელისუფლება ამზადებს მყარ ნიადაგს იმისთვის, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია რეალური პერსპექტივით მოიზიდოს!

მესამე გვერდიდან



– დონალდ ტრამპმა ინაუგურაციაზე მხოლოდ იტალიის, უნგრეთის და არგენტინის პირველი პირები დაპატიჟა, ჩინეთის პრეზიდენტს კი პირადად გაუგზავნა მიწვევა, რაც პირველად მოხდა ამერიკის ისტორიაში. დანარჩენი ქვეყნები წარმოდგენილი იქნებიან პროტოკოლის გათვალისწინებით, დიპლომატიური საელჩოებისა და ელჩების სახით. რასაკვირველია, ამ პროცესებიდან გამომდინარე, ქართველი რადიკალები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან ხედავენ, რომ მათი პოლიტიკა, რეკორდული სისწრაფით, თავდაღმა მიექანება. სი ძინპინისა და დონალდ ტრამპის შეთანხმება მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის, ამყარებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, ჰყავდეს ძლიერი პარტნიორები ამერიკა-ჩინეთის სახით. მითუმეტეს, როდესაც ისინი თანხმდებიან დაბალანსებულ ვაჭრობაზე, რისი ინტერესებიც სწორედ სამხრეთ კავკასიაში იკვეთება, ამით საქართველოს ეძლევა ხანგრძლივი მშვიდობიანი განვითარების შანსი!

**სი ძინპინისა და დონალდ ტრამპის შეთანხმება მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის, ამყარებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, ჰყავდეს ძლიერი პარტნიორები ამერიკა–ჩინეთის სახით.**

ნად აღარ ჩაერევა საქართველოს შიდა პოლიტიკაში, როგორც ამას ბაიდენის ადმინისტრაცია აკეთებდა. მან უკვე განაცხადა, რომ საგრძნობლად შეუმცირებს დაფინანსებას გაზულუქებულ სამოქალაქო



**ტიმ დევოლდერი: 10 წელიწადში საქართველოში კიდევ ერთი „ოქროს ხანა“ დაიწყება.**

ტრამპმა უკვე რადიკალურად შეცვალა გლობალური პოლიტიკის რაკურსი და ახალ გიგანტ სახელმწიფოსთან ომს, მასთან მშვიდობიანი თანაცხოვრება არჩია. ამას ველოდით და ამის შესახებ არაერთხელ გაგვიცხადებია, რასაც ოპოზიცია ქილიკით პასუხობდა. დღეს კი მათი მოლოდინები საბოლოოდ დაიმსხვრა. ტრამპის ამ განაცხადით, მკვეთრად სუსტდება ლიბერალების ლობისტური პოლიტიკა საქართველოში. თუკი ვინმეს ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ტრამპი და სი ძინპინი ვერ შეძლებდნენ თანამშრომლობას და მათ შორის დაძაბული პოლიტიკის ფონზე, საქართველოში ხელს მოითბობდნენ რადიკალები, ეს იმედიც საბოლოოდ დაემსხვრათ.

დონალდ ტრამპმა, ინაუგურაციის წინ, უკვე ორი მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა – ჩინეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და დაბალანსებული ვაჭრობის დეკლარირება და ახლო აღმოსავლეთში ისრაელი-ღაზას შორის შეთანხმების მიღწევა. ახლა ჯერი რუსეთ-უკრაინის ომზეა და, უმოკლეს პერიოდში, ამ კონფლიქტის დასრულებასაც ველით.

**მაქვს მოლოდინი, რომ ტრამპი ძალიან მალე გააუქმებს ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ „გამომცხვარ“ უაზრო სანქციებს საქართველოს წინააღმდეგ და იმდე-**

**სექტორს, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში და როგორც კი ეს ფინანსები შემცირდება, საქართველოში წამოვა ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული ჯანსაღი სამოქალაქო სექტორი. აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის და ჩვენი ქვეყნის იდეოლოგია სრულ თანხვედრაშია: ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა, კონსტიტუციური მიმართულება, ოჯახური ღირებულებები, ტრადიციები... არა ფაშიზმს და არა ომს! – ეს ჩვენი სახელმწიფოების საერთო ღირებულებები იქნება!**

*ახლახან, ბელგიური კომპანიის, „იან დე ნულის“ საქართველოს ფილიალის დირექტორმა ტიმ დევოლდერმა ანაკლიის პროექტის მშენებლობის დაწყების აღსანიშნავ ღონისძიებაზე განაცხადა, რომ ამ იშვიათი პროექტის განხორციელებიდან 10 წელიწადში, საქართველოში კიდევ ერთი ოქროს ხანა დაიწყება. ამას ვამბობდით ჩვენც და ახლა უკვე, უცხოელი, ასეთი დონის ეკონომისტი გვეუბნება იმავეს. ასე რომ, საინტერესო ეპოქა იწყება მსოფლიო პოლიტიკაში და ბედნიერი ვარ, რომ საქართველომ ამ ურთულესი პერიოდის გადატანა მშვიდობიანად შეძლო. ჩვენ გავიარეთ ბეწვის ხიდზე და, საბოლოოდ, ჩვენი ქვეყნისთვის მომგებიან რელსებზე გადავედით. ამიტომ მეც მჯერა, რომ საქართველოში მალე მეორე ოქროს ხანა დაიწყება!*

ესაუბრა
**ნონა ქარქაშაძე**

# როცა კერძში გიფურთხებენ და სულში გაფურთხებენ!..

მეოთხე გვერდიდან




იმ დღეს სამეგრელოში იყო „პრეზიდენტი“. ზუგდიდში დიდძალი ხალხი დახვდა. ქალბატონმა სალომემ საპრეზიდენტო სიტყვა წარმოთქვა. დიდი არაფერი, მაგრამ მისმა გამოსვლამ ორი მოულოდნელი ფიქრი აღმიძრა.

პირველი ის არის, რომ ხალხს რაღაც საეჭვო დაჟინებით მოუწოდა, თუ არსებული პარტიები არ მოგწონთ, არ გაკმაყოფილებთ, შექმენით ახალი, თქვენი პარტიებიო! რა იმალება ამ მოწოდებაში? რევოლუციის ხელისუფლებაში, რომელიც, როგორც ვიცით, 4+1 ფორმულას წარმოადგენს (4 არჩევნების მიჯნაგადალახული პარტია+პრეზიდენტი), უკვე ხომ არ დაიწყო ერთმანეთის ღრღნა, ღრენა და კბენა, რაც დიდი ხანია მოსალოდნელია საკადრო შეუთავსებლობის გამო? ყველაფერს თავი დავანებოთ, 4 პარტია ფაქტობრივად ერთი სხეულია, რომელსაც უბრალოდ 4 თავი აბია, ერთმანეთისთვის უცხო და შეუთავსებელი, ის თავები კი დიდხანს ვერ იგუებენ ერთ მეოთხედობას. მგონი, ეს პროცესი უკვე არის წამოწყებული და იმის კვალობაზე, თუ როგორ შემოიფერთხავს გარშემორტყმულ ოპოზიციურ ხროვებს მეხუთე გამარჯვებული პარტია, მალე პიკსაც მიაღწევს. სალომე ზურაბიშვილი, რომლის ტყავზეც ყველაზე შთამბეჭდავად ისახება თავების ბრძოლა მშობლიურ კოალიციაში, ძალზე შეშფოთებულია და ზემოდან მითითების შესაბამისად ახალ ძალას, ახალ საყრდენებს ეძიებს... ყოველ შემთხვევაში ასეთი აზრი დამრჩა!

**ახლა მეორე, რამაც მართლაც სერიოზულად შემაშფოთა და დამაფრთხო. რატომ მაინცდამაინც სამეგრელოდან დაიწყო თავისი რევოლუციურ-პროვოკაციული სვლა სამიდღემჩიო პრეზიდენტმა? ხომ არ მომწიფდა სალომეს ბატონთა შორის უკეთური აზრი, რომ რევოლუციის გამარჯვება, რაც ძალიან უჭირთ და შემდგომ უფრო გაუჭირდებათ, საქართველოს ერთიანი სხეულის დარღვევის ხარჯზე სცადონ?**



**ვაშინერს!**

**ალეკო ასლანიშვილი**

# საქართველოს ტურისტული პოტენციალი ფინეთის დედაქალაქში

**„საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ფინეთში, ჰელსინკის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში MATKA 2025 მონაწილეობს“.**

როგორც ცნობილია, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად ჰელსინკის გამოფენაში 10-მდე სახელმწიფო და კერძო კომპანიაა წარდგენილი. გამოფენას ასევე ესწრება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე.

საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში მაია ომიაძემ შეხვედრები გამართა წამყვან ფინურ და ჩრდილოეთ ევროპულ კომპანიებთან ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

**„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კერძო სექტორთან და სახელმწიფო უწყებებთან ერთად იმყოფება ფინეთში, ტრადიციულ, ყოველწლიურ ტურისტულ გამოფენაზე. ჩვენ აქტიური შეხვედრები გვაქვს ადგილობრივ ტურისტულ კომპანიებთან და ასოციაციებთან. ვფიქრობ, ღონისძიებებისა და ბიზნეს სექტორის ერთობლივი პროდუქტიული მუშაობისთვის 2025 წელი ბევრად უფრო წარმატებული იქნება აღნიშნულ ბაზარზე, ვიდრე წინა წელი იყო“** – განაცხადა მაია ომიაძემ.




**„გაოცებული ვარ, ამ გამოფენაზე ყველამ იცის საქართველოს შესახებ, ყველამ იცის ხაჭაპური და ჩურჩხელა. დიდია ინტერესი. ბევრმა გამოთქვა სურვილი საქართველოში მოგზაურობის. დიდი ჯგუფები დაინტერესებულები არიან საქართველოში მოგზაურობით. ვფიქრობ, მომავალში ბევრი ტურისტი გვეყოლება ფინეთიდან“,** – განაცხადა ტურისტული კომპანია ომნეს ტურის წარმომადგენელმაქეთი ცენტერაძემ.

ნორდიკულ ქვეყნებში უდიდეს ტურისტულ გამოფენაზე,საქართველო სპეციალური ტურისტული სტენდით არის წარდგენილი. MATKA 2025-ზე სტუმრებს საშუალება აქვთ საქართველოს ტურისტულ პროდუქტებს გაეცნონ და ინფორმაცია მიიღონ ქვეყნის ტურისტული მიმართულებების შესახებ.

ჰელსინკის 4-დღიან ტურისტულ გამოფენაში 80-ზე მეტი ქვეყნის 1000 ტურისტული კომპანია და ორგანიზაცია მონაწილეობს. MATKA 2025-ს 65 ათასამდე ვიზიტორი ჰყავს.

◎ ტრიუმფი

# ნათლისღება მოგვილოცა!

**ბოლო 11 თვეში UFC-ის ქართველი სპორტსმენებისთვის ისტორია მეოთხედ დაიწერა. ვოლკანოვსკისთან თოფურიას ტრიუმფალური გამარჯვება და დვალიშვილის შონ ომალთან ჩემპიონობა შემდეგ ილიას ჰოლოვეის დანოკაუტებითა და გუშინ უკვე ნურმაგომედოვის წინააღმდეგ გამარჯვებით დაგვირგვინდა.**

ქამარი შენარჩუნებულია. დვალიშვილი კვლავ ჩემპიონია! **UFC**-ის სუპერმსუბუქ წონაში „მანქანამ" რუს უმარ ნურმაგომედოვს მსაჯების გადაწყვეტილებით აჯობა და დაღესტნელის წაუგებელი სერიაც შეწყდა.

ქართველმა სპორტსმენმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვა და ახალი – გდებების რეკორდიც დაამყარა, რომელიც ჟორჟ სან-პიერის ეკუთვნოდა. მერაბს მესამე რაუნდიდან სრული დომინაცია ჰქონდა. მან წინა ბრძოლის მსგავსად შეკრებილი პუბლიკისთვისაც მოიცალა და ამჯერად კოცნა არა, თუმცა ხალხის გახალისება ნამდვილად შეძლო.

ამრიგად, საქართველოს შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში კვლავ 2 ჩემპიონი ჰყავს, რადგან დვალიშვილის მსგავსად ქამარი თოფურიასაც შენარჩუნებული აქვს.

მერაბ დვალიშვილმა მე-19 ბრძოლა მოიგო, მათ შორის მე-12-ე ზედიზედ. მის ანგარიშზე 23 ბრძოლიდან მხოლოდ 4 მარცხია. ქართველი „მანქანა" შეუჩერებელია!




**ბრძოლის შემდეგ ქართველმა ემოციური კომენტარი გააკეთა:**

„უმარი ძლიერი მებრძოლია და ბებერი მიწოდა. კი, ბებერი ვარ, მაგრამ ყოველდღე ვვარჯიშობ. მჯერა, რომ შრომისმოყვარეობითა და საკუთარი თავის რწმენით ყველაფერი შესაძლებელია. მე ძველი სკოლის კაცი ვარ, მჯერა ძველი სკოლის, მჯერა მძიმე შრომის... ხალხო, გთხოვთ, არავის მისცეთ უფლება, რომ დაგაშინოთ, დაიჯერეთ საკუთარი შესაძლებლობების და ყველაფერი შესაძლებელია.

მადლობა ჩემს გულშემატკივრებს, ვინც აქ ჩემს მხარდასაჭერად მოვიდა და ყველა ქართველს. ყველა მიყვარხართ, მიყვარხართ ქართველებო! არასდროს ვჩერდები და ყოველთვის ვვარჯიშობ. როდესაც ექვსი კვირის წინათ ჩხუბზე დავთანხმდი, ტრავმა მაწუხებდა, ფეხი მტკიოდა და ნაკერი მქონდა, გარდა ამისა, წელის ტკივილიც მქონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ბრძოლა მჭირდებოდა. მთელი მსოფლიო ჩემს წინააღმდეგ იყო, და ფავორიტი არ ვყოფილვარ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მჯერა საკუთარი თავის. ახლა შემიძლია კარიერა დავასრულო და მოვკვდე. და, კიდევ ერთხელ, მიყვარხარ ჩემო ქვეყანა, მიყვარხარ საქართველო!", – თქვა დვალიშვილმა.

◎ ფორუმი

# ესაა იზოლაცია?!

**თბილისი რაპირით მოფარიკავე იუნიორთა შორის მსოფლიო თასს მასპინძლობს. ტურნირი ახალი სპორტის სასახლეში ინდივიდუალური ასპარეზობებით დაიწყო.**

ფორუმში 30-მდე ქვეყნის 150-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს. ღონისძიება საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება.



◎ ვინ არის დამნაშავე?

# ბუნებაც ტიროდა...

**ხვიჩა კვარაცხელია უკვე პარიზშია და 26 იანვარს ფრანგული დებიუტი ლიგა – 1-ის საშინაო შეხვედრაში რეიმსთან ექნება, მანამდე კი სენჟერმენში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა. სპორტული კარიერის ღირსეულად გაგრძელება ვუსურვოთ საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერს, რომელსაც 12 თებერვალს 24 წელი უსრულდება.**

ასაკზე შემთხვევით არ ვამახვილებ ყურადღებას, რადგან ის ფსიქოლოგიური სტრესი, რისი თანხლებითაც ამ ახალგაზრდა კაცმა ნაპოლი დატოვა, გაუთვალისწინებელ ცხოვრებისეულ ქარტეხილებში გამობრძმედილ ბევრ თმაშევერცხლილ ჭარმაგ ვაჟკაცს მიაყენებდა უმძიმეს მორალურ დარტყმას.

პიროვნულ ტრაგედიაში გადაზრდილ ტრანსფერებზე მეტს რას მოვსწრებივარ, მაგრამ მე, ბუნებრივია, ჩემიანის დაფლეთილი გული მაღელვებს, რომელმაც ამიერიდან დაუმსახურებელი შეურაცხმყოფელი სულიერი იარა უნდა ატაროს თან. ვინატროთ, რომ მას მარადონას მემკვიდრე მომავალი შთამბეჭდავი თამაშით თვითონ უპოვის მალამოს, რაც ადამიანური ნგრევისგან დაიცავს.

დიახ, დარწმუნებული ვარ, ბევრი შეძრა დიეგოს სახელობის სტადიონზე გამოსამშვიდობებლად ოჯახთან ერთად მისული კვარას მონოლოგმა, რომელსაც, ბედის ირონიით, წვიმიანი ამინდი დაემთხვა – თითქოს ბუნებაც ტიროდა. ბარაქალა მას, რომ ეყო ძალა, მადლიერება გამოეხატა ქალაქისთვის, თანაკლუბელთათვის, მწვრთნელთათვის, სტაფის წევრებისა და გულშემატკივართათვის – წინა დღეებში ხომ ტიფოზთა ნაწილი ნეაპოლის ქუჩებში თავისი აწ უკვე ყოფილი კერპის ფიტულებს საჯაროდ წვავდა. საბედნიეროდ, უმეტესობისთვის ხვიჩა ისევ ის გმირია, ვინც კამპანიელებს მე-3 სკუდეტო მოუტანა და ასე იქნება, ალბათ, მუდამ! ამას მათი ალალი ცრემლი მოწმობს.

ყოველ შემთხვევაში, ასეთია ვარსკვლავური რეალობა – გავიხსენოთ, რამდენ კორიფეს დასტყდომია თავს იმ ქომაგთა რისხვა, ვინც მათ სულ ცოტა ხნის წინათ აღმერთებდნენ.

როცა სკანდალურ ტრანსფერზე ვსაუბრობთ, ლოგიკურად ჩნდება კითხვა – ხომ არ დაგვიანდა იგი?

დაუფიქრებლად გიპასუხებთ – დიახ! როცა გუნდის წამყვანი ფეხბურთელი პარტნიორებთან შედარებით მიზერულ გასამრჯელოს იღებს, სხვა მოსაზრების გამოთქმა, უბრალოდ, გამორიცხულად მიმაჩნია და მგონია, რომ სპალეტისა და კიმის მსგავსად ქართველ ლეგიონერს პარტენოპეი პირველივე ტრიუმფალური სეზონის დასრულებისთანავე უნდა დაეტოვებინა – ტოპმსურველები ხომ არც მაშინ აკლდა?

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია პრეზიდენტის ფაქტორი და ისიც, რომ შესაძლებელია ჯერ ბევრი რამ ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ხომ ჰყავს კვარადონას პირადი აგენტი, თანაც მამამისის უახლოესი ძმაკაცი და ლამის ოჯახის წევრი, **მამუკა ჯუღელი**, რომლის უშუალო მოვალეობაცაა აღნიშნული რთული ჩიხური ვითარებიდან გამოსავლის მოძებნა, მათ შორის კომერციული მონსტრის – **აურელიო დე ლაურენტისის** მადის დაკმაყოფილებაზე ზრუნვა?

ასეა თუ ისე, **გიორგი მიქაუტაძესა** და **ზურიკო დავითაშვილს** საფრანგეთში მესამე ქართველი მუშკეტერი შეუერთდა, რომელიც, ვიმედოვნებთ, ეკრანზე მოცემულ პირობას შეასრულებს: „მოვა დრო, როცა ყველაფერს ვიტყვი!"

პარიზელებმა ლიგა – 1-ში ტაიმბოლით გაიმარჯვეს ლანსში – 2:1 და დამაჯერებლად ლიდერობენ




იქაურ ელიტაში, ხოლო ზეგ ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის ყოფნაარყოფნის შეხვედრაში სიტის ხვიჩას გარეშე უმასპინძლებენ, რომელსაც ამ ტურნირში თამაშის უფლება იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ ფრანგული გრანდი პლეი-ოფში გავა.

კიდევ უფრო მსუყე სატიტულო ბრძოლა მოიგო ნაპოლიმ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან – ატალანტასთან ბერგამოში – 3:2 და რევანში აიღო პირველ წრეში საშინაო ფიასკოსთვის – 0:3. ეს კონტეს გუნდის ზედიზედ მე-6 წარმატებაა, მასპინძლებმა კი 15-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტეს. 26 იანვარს ნაპოლი – იუვენტუსია!

◎ ლეგიონერები

# 20-ქულიანი წვლილი

**გამოჯანმრთელებული თორნიკე შენგელიას დაბრუნება სასიკეთოდ უკვე აისახა ვირტუსზე, რომელმაც ევროლიგაში 22-ე ტურის უმნიშვნელოვანესი გასვლითი შეხვედრა მოუგო სეზონის აღმოჩენას – მიუნხენის ბაიერნს – 82:72.**

მასპინძელთა კანადელმა თავკაცმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა **გორდონ ჰერბერტმა** ისეთი მრისხანე გუნდი შექმნა, ყველას რომ ღირსეულად ებრძვის, ამიტომ აღნიშნული გამარჯვება ძვირად ფასობს.

არადა, ბავარიელებმა შესანიშნავად დაიწყეს მატჩი – 8:0 და ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ მოვლენები მათთვის ასე სავალალოდ – ოთხივე პერიოდის დათმობით განვითარდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯვაროსანთა კაპიტნის შთამბეჭდავი თამაში, რომელმაც პარტნიორებს 28 წუთში მოგროვებული 20 ქულით, 6 მოხსნითა და ამდენივე ასისტით ულიდერა. შეგახსენებთ, რომ 1 თვეში ჩვენი ქვეყნის ნაკრებს წლევანდელი ევრობასკეტის გადამწყვეტი შესარჩევი რაუნდი ელის, მისი საკვანძო ფიგურის მიერ ოპტიმალური კონდიციების ასე სწრაფად აკრეფა კი მის ქომაგებს კიდევ უფრო გვმატებს წარმატებული ფინიშის შეგრძნებას.

იმავე დღეს **კამარ ბოლდუინმა** 15 ქულა შესძინა ბასკონიას პანათინაიკოსთან მოგებულ მატჩში.

რაც შეეხება ევროლიგას, ბოლონიელები 23 იანვარს მონაკოს მიიღებენ.

**სატურნირო მდგომარეობა:** ოლიმპიაკოსი – 16, ფენერბახჩე – 14, პარიზი, მონაკო, პანათინაიკოსი, ბარსელონა, ცრვენა ზვეზდა – 13, რეალი, მილანი, ბაიერნი –12, პარტიზანი, ჟალგირისი – 11, ვილერბანი, ეფესი – 10, ბასკონია – 9, ვირტუსი – 7, მაკაბი – 5, ალბა – 3 გამარჯვება.

**ესპანეთის ლიგა ენდესას მე-17 ტურში გიორგი შერმადინის „ტენერიფემ" „ჟირონა" 100:80 დაამარცხა, მატჩის MVP კი ქართველი ცენტრი გახდა.**

შერმადინმა დიდებული თამაში ჩაატარა: 18 წუთში ორმაგი დუბლი შეასრულა – 24 ქულა, 11 მოხსნა და 1 ჩაჭრა. გიორგიმ 9-დან 8 ორქულიანი და 12-დან 8 საჯარიმო ჩააგდო. ცხადია, შერმადინი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

„ტენერიფე" 12 მოგებით და 5 წაგებით მეოთხე ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 26 იანვარს სტუმრად „გრან კანარიასთან" გამართავს.



# „ამერიმერი“




**დაისტამბა დამოუკიდებელი ლიტერატურული ალმანახ „ამერიმერის“ 2024 წლის გაერთიანებული პირველ-მეორე ნომერი.**

ალმანახი ტრადიციას არ არღვევს, ამჯერადაც ნომერი იხსნება **უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II**-ის საშობაო ეპისტოლეთი!

ალმანახში **ქართული პოეზიის** რუბრიკით წარმოდგენილნი არიან: **ფარნა რაინა** – „კატრენები“. გაგრძელება, **კობა იაკობ-აბა არაბული** – „მზიანი ღამის ეტრატები“, **რევაზ დანელია,** ლექსები, **ზაალ ებანოიძე** – „წყალგაღმიდან მოიწერე, რა წაიღე გამოღმიდან“... პოემა – რეკვიემი, **ნუგზარ წერეთელი** – ლექსები, **დალი კახიანი** – ლექსები, **ერეკლე საღლიანი** – ლექსები, **ლელა მეტრეველი** – ლექსები, **სოსო ბერიძე** – ლექსები, **აკაკი ბიძინაშვილი** – ლექსები, **ლია გიგიტაშვილი (თამარელი)** – ლექსები, **ანა ერისთავი** – ლექსები, **ნუგზარ კობერიძე** – ლექსები, **რომან ზუკაკიშვილი** – ლექსები, **ვაჟა ოთარაშვილი** – ლექსები, **ეკა კვანტალიანი** – ლექსები, **გიგლა ჭინჭარაული** – ლექსები, **ნათია ჯიქურაშვილი** – ლექსები, **ნათელა ქურციკიძე** – ლექსები, **ალექსი გოგბერაშვილი** – ლექსები, **ნუნუ ძამუკაშვილი** – საყმაწვილო ლექსები, **ზურაბ ქობალია** – ლექსები, **ბადრი სულაძე** – ლექსები რაჭულ მოტივებზე, **ზურაბ მამულაშვილი** – ლექსები, **ვეფხვია გავაშელი** – ლექსები, **ირაკლი მასპინძელიშვილი** –- იუმორისტული ლექსები.

რუბრიკა ქართული პროზა გთავაზობთ: **მანანა ამირეჯიბი** – თვალთმაქსის პარადოქსები. მოთხრობა, **ზაზა ქინქლაძე** – „გაფრენილი კარუსელი“. ვრცელი რომანის დასაწყისი, **გიორგი თედეთი** – ღმერთო, როდემდე... დოკუმენტური მოთხრობა, **ანზორ სიფრაშვილი** – ვახტანგ გორგასალი – ერთი თავი რომანიდან, **ნანა წიღელაშვილი** – პაპა – მოთხრობა, **მაგული კვაჭაძე-ქანთარია** – ქურდების ბებია – მოთხრობა, **მარიამ ძამუკაშვილი** – გაზაფხული – მოთხრობა, **ეკატერინე ავაზაშვილი** – მივიწყებული ცოდვა – მოთხრობა, **ვაჟა ჩორდელი** – კაცი ცთუნების მძევალი – კინომოთხრობა.

აქვეა დაბეჭდილი მეგობრის გახსენების რუბრიკით **როსტომ თიგიშვილის** მოთხრობა – „ბებერი ყვავის ნაალაფარი“.

წერილების რუბრიკით წარმოდგენილნი არიან – **როინ მეტრეველი** – ზოგიერთი ისტორიული პირის წოდების, ტიტულატურისა და რიგითი ნომრის შესახებ, **ზაალ ბოტკოველი** – ზოგი რამ ქართული მწერლობის ავთანდილზე, **ირინე აბესაძე** – დალი კახიანის გრაფიკა, **ომარ გოცაძე** – ევროპისკენ ჰერი! ჰერი!, **ლევან ბრეგაძე** – ფეისბუკის ჩანაწერებიდან, **ჟაკლინ სირაძე** – უცნაური ქართული ეგზისტენციალიზმი.

ალმანახი მთარგმნელებსაც მასპინძლობს – **სადეყ ჰედაიათი** – მაწანწალა ძაღლი – მოთხრობა, სპარსულიდან თარგმნა **გიორგი სიფრაშვილმა, ჰაინრიხ ფენრიჰი** - ქართული ლიტერატურის ადგილი მსოფლიო ლიტერატურათა შორის – თარგმა **მარიამ ქსოვრელმა.**

ალმანახი აგრძელებს **ვაჟა ჩორდელის** „მწერლის ხურჯინში გადანახული ამბების“ ბეჭდვას.

„ამერიმერი“ გამოცემიდან მეთოთხმეტე წლის დალაშქვრას შეუდგა. ველოდებით ახალ და ძველ სახელებს.

**P.S.** რედაქციამ სიურპრიზი მოუმზადა ამ ნომერში დაბეჭდილ ავტორებს. ისინი დაჯილდოებულნი არიან ჭაბუა ამირეჯიბის, მუხრან მაჭავარიანის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და ზაურ ბოლქვაძის სახელობის საპატიო დიპლომებით.

ალმანახის გამომცემელი და მთავარი რედაქტორია **ვაჟა ჩორდელი.**

## არდავიწყება

# პავლე გიორგობიანი



**კავშირგაბმულობის სახელოვან ვეტერანთა პლეადას გამოაკლდა 1938 წელს დაბადებული პიროვნება, მაღალი კლასის პროფესიონალი, ნაღდი, კოლორიტული ქუთაისელი, ძვირფასი მეგობარი პავლე გიორგობიანი.**

ბატონი პავლეს მთელი ცხოვრება დაკავშირებული იყო კავშირგაბმულობის სფეროსთან. თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმის დამთავრების და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, 1963 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა ჯერ ქუთაისის სატელევიზიო სადგურში და შემდეგ მთელი ცხოვრება ქუთაისის კავშირგაბმულობის სისტემაში.

მუშაობის პარალელურად დაუსწრებლად სწავლობდა კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1971 წელს დაამთავრა.

ბატონი პავლე 1978 წელს დაინიშნა ქუთაისის სატელეფონო ქსელების უფროსად, 1982-1998 წელს კი მუშაობდა კავშირგაბმულობის ქუთაისის საქალაქო კვანძის უფროსად.

1998 წლიდან პენსიაში გასვლამდე პავლე გიორგობიანი იყო ახლადშექმნილი კავშირგაბმულობის კომპანია „ახალი ქსელების“ ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელი. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოჩნდა მისი, როგორც გამოცდილი ხელმძღვანელის და პროფესიონალის როლი ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის საჭირო ახალ მიდგომებში, ახალი კადრების შერჩევასა და მომზადებაში, ძველი კადრების გადამზადებაში, ტენდერების საშუალებით საუკეთესო აპარატურის შერჩევასა და ექსპლოატაციაში...

ამას ყველაფერს შესანიშნავად, მაღალი პროფესიონალიზმით ართმევდა თავს ბატონი პავლე.

უფალმა ნათელში ამყოფოს ეს უღირსეულესი, სამშობლოსადმი, საქმისადმი, ოჯახისა და მეგობრებისადმი მუდამ ერთგული ადამიანი.

მშვიდობით, ჩვენო პავლე!

**ფრიდონ ინჯია, ვახტანგ თოდუა, ავთანდილ იაშვილი, დემურ ინჯია, თეიმურაზ ღოღობერიძე, თეიმურაზ ბერიშვილი, კოტე სამუშია, ილია ინჯია, ვახტანგ ამაშუკელი.**

# დაკავებულია უცხო ქვეყნის 6 მოქალაქე!



**შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულოს პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ფაქტებზე უცხო ქვეყნის 6 მოქალაქე დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ 1981 წელს დაბადებულმა ს.ო.-მ თავისი მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანით, ასევე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: 2002 წელს დაბადებული ო.ფ., 1988 წელს დაბადებული თ.ჩ., 1985 წელს დაბადებული ს.ი., 1989 წელს დაბადებული ჰ.ო. და 1987 წელს დაბადებული ა.ქ. სასაზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტის „სარფის“ გვერდის ავლით, საქართველოს ტერიტორიაზე ფარულად, უკანონოდ გადმოიყვანა.

პოლიციამ ექვსივე მათგანი სასაზღვრო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე დააკავა. დანაშაული 4-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ესპანეთში ავარიის შედეგად ათობით ადამიანი დაშავდა



**ესპანეთში საბაგირო გზაზე მომხდარი ავარიის შედეგად ათობით ადამიანი დაშავდა**. 9 მათგანის მდგომარეობა მძიმეა. ინციდენტი სათხილამურო კურორტ ასტუნში მოხდა.

წინასწარი ინფორმაციით, საბაგირო გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე ბაგირი გაწყდა, რის შედეგადაც სავარძლები ძირს ჩავარდა.

# თეირანში უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლე მოკლეს

**ირანის დედაქალაქ თეირანში უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლე მოკლეს. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.**



შეიარაღებულმა პირმა ირანის უზენაეს სასამართლოსთან ცეცხლი გახსნა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ხელისუფლებამ მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მიანიჭა.

დაღუპული მოსამართლეები, მოჰამედ მონისეხი და ალი რიზანი ტერორიზმის, ჯაშუშობის და ნაციონალური უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების საქმეებს განიხილავდნენ.




# ბათუმში ზღვამ ცხედარი გამორიყა

**ზღვაში დაღუპული კაცს რამდენიმე დღეა ეძებდნენ.**

გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 143-ე მუხლით, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

# ხანძარს გორში მატარებლის სადგურის დარაჯი ემსხვერპლა

**გავრცელებული ინფორმაციით, დარაჯს შენობაში ელექტროგამათბობელი ჰქონდა ჩართული, რამაც** ხანძარი გამოიწვია. შემთხვევის ადგილას მობილიზებული იყვნენ სახანძრო-სამაშველო ჯგუფები.



## „დაჩის ზღაპრები“ იაპონურ Amazon-ზე






**მწერალ ოთია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები იაპონურ ამაზონზე იყიდება. ამის შესახებ მწერლის შვილიშვილმა ოთია იოსელიანმა BM.GE-სთან ისაუბრა.**

ონლაინ პლატფორმაზე წიგნის ფასი $5.31-ს შეადგენს.

ოთია იოსელიანის შვილიშვილის თქმით, საწყის ეტაპზე და იმის ფონზე, რომ მარკეტინგული კამპანიები არ ჰქონიათ, მათთვის საკმაოდ წარმატებული სტარტი აღმოჩნდა.

„ოთია იოსელიანის ნაწარმოებების ნაწილი ითარგმნა და იაპონურ ამაზონზე ნორმალური ტემპით იყიდება, ხოლო გარკვეული ნაწილი ახლა ითარგმნება. სავარაუდოა, რომ სხვა ნაწარმოებების თარგმნაც გაგრძელდება“, – ამბობს ოთია იოსელიანი.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს მწერლის შემოქმედებით იაპონური მხარე დაინტერესდა და ნაწარმოების თარგმნა და დაბეჭდვის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო.

ინფორმაციისთვის, ქართველი მწერლის სახლ-მუზეუმი „ოტიას ეზო“ წყალტუბოში 2015 წელს მისი ოჯახის წევრების მიერ დაფუძნდა და აგროტურისტულ საქმიანობას ეწევა.

## აკა მორჩილაძე – მეორედ ნობელის პრემიაზე!

**ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე ნობელის პრემიაზე მეორედაა წარდგენილი. ინფორმაციას ლიტერატურის ინსტიტუტი ავრცელებს.**



„პატივი გვაქვს, გაცნობოთ, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურისა და შედარებითი ლიტერატურის ქართული ასოციაციის საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2025 წლის ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში, განმეორებით, წარდგენილია მწერალ აკა მორჩილაძის კანდიდატურა.

წარმატება მას და სრულიად საქართველოს“! – აღნიშნულია ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობი



**რუსთავის თეატრის მსახიობი ზვიად დოლიძე სპექტაკლისთვის „მარშალი“ საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა წლის საუკეთესო მამაკაც მსახიობად დაასახელა. ინფორმაციას რუსთავის თეატრი ავრცელებს.**

## კამერონ დიასი დიდ ეკრანზე ბრუნდება

**ჰოლივუდის 52 წლის ვარსკვლავმა კამერონ დიასმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ათი წელი, რომელიც მან სამსახიობო კარიერის გარეშე გაატარა, საუკეთესო იყო მის ცხოვრებაში, – იუწყება SkyNews-ი.**

მან ეს გადაწყვეტილება 2014 წელს მიიღო. დიასის თქმით, ეს დრო ოჯახთან გაატარა და საკუთარი თავის პოვნას დაუთმო.

„მე ეს მომწონდა. ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო ათი წელი იყო“, – განაცხადა დიასმა და აღნიშნა, რომ ის თავისუფალი იყო და შეეძლო ყოფილიყო უბრალოდ დედა, მეუღლე და განმარტოებულად ეცხოვრა.

**დიასი და ბენჯი მედენი** – 2019 წელს მათ პირველი შვილი ეყოლათ. გოგონას რედიქსი დაარქვეს. 2024 წლის მარტში მეორე შვილის მშობლები გახდნენ. მათ ვაჟი შეეძინათ, რომელსაც კარდინალი დაარქვეს.



ათწლიანი პაუზის შემდეგ დიასის დებიუტი Netflix-ის ფილმში, Back in Action შედგება, სადაც მსახიობი ჯეიმი ფოქსს გაუწევს პარტნიორობას. ფილმის პრემიერა 2025 წლის იანვარის ბოლოს არის დაგეგმილი.

## მსოფლიოში პირველი რობოტი კატა შეიქმნა!

**ჩინეთში მსოფლიოში პირველი რობოტი კატა შეიქმნა. მას შეუძლია სიარული, სირბილი, ძილი, გაჭიმვა და ისეთი მოქმედებების იმიტაციაც კი, როგორიცაა ნაგვის დამარხვა, წერს Interesting Engineering.**

„ის დადის და ბევრი სენსორი აქვს. თუ დაგინახავს, თავს გააქნევს, რადგან ცხვირში აქვს კამერები, რათა შეიგრძნოს თავისი გარემო და თავიდან აიცილოს დაბრკოლებები. ჩვენ ვხედავთ, რომ ბაზარზე ნამდვილად არის საჭირო შინაურ ცხოველებთან ურთიერთობა“, – თქვა ერთ-ერთმა ექსპერტმა.

რობოტ კატას შეუძლია ადამიანებთან ურთიერთობა, სხვადასხვა ემოციის გამოხატვა. ასეთი შინაური ცხოველი რეაგირებს შეხებაზე, შეუძლია ხმების მოსმენა, სახეების დანახვა და სათამაშოებთან ან ნამდვილ კატებთან თამაშიც კი.

**„ის ისმენს ბრძანებებს, თუმცა ყოველთვის არ ასრულებს მათ, რაც ასახავს პიროვნებას, რომელიც ვითარდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოექცნენ მას. MarsCat ასევე ცნობს ობიექტებს, სათამაშოებს და მის საწოლსაც კი, მონაწილეობს თამაშებში ისეთი საგნებით, როგორიცაა ჩხირები და სათამაშო ბურთები“,** – აცხადებენ რობოტის შემქმნელები.



გარდა ამისა, MarsCat-ს აქვს ექვსი პიროვნული მახასიათებელი, კერძოდ – ენთუზიაზმი, თავმოყვარეობა, ენერგიულობა, სიზარმაცე, კომუნიკაბელურობა და სიმორცხვე, რომლებიც ვითარდება მფლობელთან ურთიერთობის შედეგად.

**„MarsCat იდეალური გადაწყვეტაა მათთვის, ვინც ვერ ზრუნავს ტრადიციულ შინაურ ცხოველზე ალერგიის ან დროის შეზღუდვის გამო. ბეწვისა და ალერგენების გარეშე, ის უზრუნველყოფს სუფთა, სანიტარიულად უსაფრთხო გარემოს. ის გამორიცხავს ნაგვის ყუთის მოვლის საჭიროებას და ავტომატურად იტენება“,** – განმარტავს გამოცემა.

ასევე, თუ მას ხშირად დაუკავშირდებით, რობოტი კატა უფრო მოსიყვარულე ხდება.

## ექსტრემალური გვალვები მთელ მსოფლიოში გახშირდება და გაძლიერდება

**„მუდმივი მრავალწლიანი გვალვები კლიმატის დათბობასთან ერთად გაუარესდება“, ამის შესახებ ნათქვამია შვეიცარიის ტყის, თოვლისა და ლანდშაფტის კვლევის ფედერალური ინსტიტუტის ინფორმაციაში.**



თხუთმეტი წლის მუდმივი, დამღუპველი მეგაგვალვა – ყველაზე ხანგრძლივმა გვალვამ ათასწლეულში თითქმის ამოწურა ჩილეს წყლის მარაგი, რამაც იმოქმედა ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის მინერალების წარმოებაზე. ეს მხოლოდ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ იწვევს კლიმატის დათბობა მრავალწლიან გვალვებს და წყლის მძიმე კრიზისებს მსოფლიოს დაუცველ რეგიონებში.

Phys.org- ის მიხედვით, გვალვა, როგორც წესი, შეინიშნება მხოლოდ მაშინ, როცა ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას ან შესამჩნევად აზიანებს ტყეებს.

მეცნიერთა გუნდი მიზნად ისახავს, გამოავლინოს მუდმივი გვალვების შესაძლო გრძელვადიანი ზემოქმედება მთელს მსოფლიოში და დაეხმაროს პოლიტიკის ინფორმირებას.

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა გამოთვალა ანომალიები ნალექების და წყლის აორთქლების მიხედვით. ამან მათ საშუალება მისცა, დაედგინათ მრავალწლიანი გვალვების შემთხვევები პლანეტის როგორც კარგად შესწავლილ, ასევე ნაკლებად მისაწვდომ რეგიონებში. განსაკუთრებით კი ისეთ ადგილებში, როგორიცაა წვიმის ტყეები და ანდები, სადაც დაკვირვების მონაცემები მწირია.

შედეგების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად მთელს მსოფლიოში, გუნდმა შეიმუშავა მრავალფაზიანი ანალიზი, რომელიც უკეთესად განსაზღვრავს ცვლილებებს მაღალი ფოთლების მქონე რეგიონებში და აფასებს გვალვებს მათი სიმძიმის მიხედვით 1980 წლიდან.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მეგაგვალვას ყველაზე დიდი პირდაპირი გავლენა ჰქონდა ზომიერ მდელოებზე.

„გრძელვადიანი წყლის ნაკლებობის შემთხვევაში, ტროპიკულ და ბორეალურ რეგიონებში ხეები შეიძლება მოკვდეს, რამაც გამოიწვიოს ამ ეკოსისტემების ხანგრძლივი დაზიანება. კერძოდ, ბორეალურ მცენარეულობას, სავარაუდოდ, ყველაზე დიდი დრო დასჭირდება აღსადგენად“, – თქვა ერთ-ერთმა მეცნიერმა.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 22 იანვარს**